საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

რედაქცია და კონტორა:
თბილისი, რუსთაველის პროს. № 11. რედაქცია და კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევის 2 და ნახ. საათამდის.
ტელეფონი № 15—73.
მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი, „საქართველო". ფოსტის ყუთი № 76

განცხადებანი:
განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 20 მ., მე-4 გვერდზე—15 მ.
სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—700 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

ხელის მოწერა:
გაზეთი „საქართველო" ქალაქში და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—600 მან. ცალკე №—25 მან.

ფასი 25 მან.

წელიწადი მეშვიდე. | ოთხშაბათი, იანვრის 26. 1921 | № 18

ელისაბედ ბერიძისა, თამარ მიქანაძე, მარიამ აბაშიძე და მარიამ სიამაიშვილისა აუწყებენ ნაცნობთ, რომ შაბათს, 22 ამა იანვარს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი მეგობარი

ქეთო ქუთათელაძე

პანაშვიდი ქ. ტფილისში გადახდილ იქნება ოთხშაბათს, 26 იანვარს საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში

1—1315—1

დამწუხარებული მეგობრები დათიკო ლორთქიფანიძე და დათიკო მებუკე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ

ქეთო ივანე ქუთათელაძის ასულის

უდროვოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხონში 27 იანვარს პანაშვიდი დანიშნულია ქაშვეთის ეკლესიაში ოთხშაბათს 26 იანვარს საღამოს 6 საათზე.

1—3413—1

ბარბარე ალექსანდრეს ასული ფავლენიშვილისა ღრმა მადლობას უცხადებს ყველა იმათ ვინც პატივი სცეს და ანუგეშეს

ანასტასია გრიგორის ასული ფავლენიშვილის

გარდაცვალების გამო, განსაკუთრებით კახეთის რკინის გზის სამმართველოს მოსამსახურეებსა და ამხანაგთ.

1—3416—1

უბედური მამა ვასილ გრიგოლის ძე ჯავახიშვილი, გულდაწყვეტილი ძმები: ექიმი დიმიტრი ვასილის ძე ჯავახიშვილი ცოლშვილით, გრიგოლ ცოლშვილით, არჩილ და ევგენი ჯავახიშვილები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 25 იანვარს გათენებისას გარდაიცვალა ფილტვების ანთებით მიხეილის საავადმყოფოში მათთვის დაუვიწყარი

ზაქარია (ზაქრო) ვასილის ძე ჯავახიშვილი

პანაშვიდი დღეს 26 იანვარს საღ. 5 ნახ. საათზედ საავადმყოფოსთან არსებულ „ჩასოვნა"-ში დიდიმთავრის ქუჩა.

1—3411—1

მწუხარებისგან გულმოკლულნი მშობლები პელაგია დავითის ასული იაკინთე კონსტანტინეს ძე ძმა მიშა, დები: ელენე, მარგალიტა და ტატიანა წერეთლები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს, უდროვოდ ჯერ კიდევ ნორჩი 17 წლის

შალიკოს

გარდაცვალებას სოფ. ბორში შორაპნის მაზრა. გამოსვენება და დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს იანვრის 27 ს ნაშუადღევის სამ საათზე.

1—3417—1

სახელმწიფო ოპერა

ოთხშაბათს, იანვრის 26
კარნავალი
ხუთშაბათს, იანვრის 27
ბოჰემა
პარასკევს, 28 იანვარს
დონ-ჟუანი
ოპერის დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ., № 21, ტელ. 8—07).

ხუთშაბათს, იანვრის 27-ს პრემიერა!
პირველად ამ სეზონში
განახლების და შესწორების შემდეგ **სამშობლო** ლიტანიით
ახალი დეკორაციები ვალ. სიდამონ-ერისთავისა. მონაწილეობს მთელი დასი 100 თანამშრომელი ხორო.
ბილეთები კასაში. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი

ქართული კლუბი

სტუდენტთა ტრადიციულ დღეს ოთხშაბათს, 26 იანვარს სახელმწიფო უნივერს. სტუდენტობა მართავს

●●●● საღამო-მეჯლისს ●●●●

შემდეგი შინაარსით:

1
სიტყვა პროფ. მ. წერეთლისა.
სტუდ. მომღერალი გუნდი.

2
კონცერტი
მონაწ. (ანბანზე): ანჯაფარიძე ვ., ამირაჯიბი ც., ბურაგო-ცეხ. ვ. ვ., ბალაბანი ა. ა., ბოიარსკი ნ. ვ., გოლდშ. ლ. დ., ქიხარევა ე. ტ., ზალიპსკი ბ. ი., ზარდალიშვილი ი., ინაშვილი ა. ი., კალანდაძე ო., სპირშ., ფალიაშვ. [illegible], სარაჯიშვ., საბინ-გუსი, სოკოლ., ლეონტ. და სხვები.

3
მგოსანთ-ოჯახი
მონაწ. პაოლ. იაშვ., ქუჩიშვ., ფაშალ., გ. ტაბიძე ტ. ტაბიძე, თაგუნა, ლეონიძე.

4.
კაბარე-ვახშმით
მონაწ. მორდკინი, პოჟიცკაია, ლ., ორლოვა, წერეთელი და სხვები.

კონფერანსიე: შ. იაშვილი, ა. ყანჩელი
ევროპიული ცეკვა, ფოსტა, კონფეტი, ყვავილები და სხვა და სხვა.
მაგიდების დაჭერა შეიძლება მ. რამიშვილთან. ტელ. № 9—46.
დიასახლისები: ქ-ნი მ. რამიშვილისა, ო. გეგეჭკორისა, ო. სვანიშვილისა, ო. გომართელისა, პ-სსა კაკაბი.
პასუხისმგებელი გამგენი: ბ. გ. ხნკევიშვილი, ა. რ. წურწუმია
დასაწყისი საღამოს 9 ნახევარ საათზე

სასტუმრო „ინტერნაციონალი"-ს

ახალი პატრონი, აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამზარეულოს, რომელიც პირველხარისხოვან შეფიო კულინარის ზედამხედველობაში იმყოფება.

ყოველდღე საუზმე
დილის 11 საათიდან.

სადილი ×××××× ვახშამი
2 საათიდან საღ. 6 საათამდე.

ნაირნაირი და საუკეთესო ღირსების საჭმელები.
სასურველია ყველა თითონ დარწმუნდეს ოთხშაბათობით და შაბათობით: მოსკოვის კულებიაკა.
პარასკეობით, და სამშაბათობით და კვირაობით: ციმბირის პელმენი.
ორშაბათობითა და ხუთშაბათობით: რუსული ბლინები.
პატივისცემით. ა. პ. კუზნეცოვი.

განცხადება

სამხედრო სამინისტროს სამნეო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ 1921 წ. 31 იანვარს დილის 12 საათზედ მოხსენებულ განყოფილებაში სიტყვიერი და წერილობითი განცხადებით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა თბილისის გარნიზონისთვის ერთის წლის ვადით ხორცის და ცხიმის ჩაბარების შესახებ. დაწვრილებით ცნობები მსურველთ შეუძლიანთ მიიღონ ყოველ დღე სამნეო განყოფილების სასურსათო სექციაში (ბარიათინის ქუჩა № 10) დილის 9 საათიდან ნაშუადღევის სამ საათამდის.

3—16—3

ბათომის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მან ახლად მოაწყო ვალცის წისქვილი (**Вальцовую мельницу**), რომელიც ჯერ ჯერობით დღიურად ფქვავს 1000 ფუთ ხორბალს, მიღებულია ზომები მის გასაფართოებლად და ახლო მომავალში დაფქვავს დღიურად 2000 ფუთამდე.

დაწესებულებებმა, რომლებიც მოისურვებენ ისარგებლონ აღნიშნული წისქვილით, ყოველივე ცნობებისათვის უნდა მიმართონ ბათომის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას.

ბათომის ქალაქის გამგეობა.

სახელმწიფო ოპერა

პარასკევს 28 იანვარს
პირველად განახლების შემდეგ

დონ-ჟუანი

სრულიად ახალი მოწყობილობით, ახალი დეკორაციებით და ახალი ● ტანისამოსით. ●
დირიჟორი ჩერეპნინი ნ. ნ. ბალეტს დასდგამს მორდკინი მ. მ. დეკორ. მხატვ. სიმოვისა ვ. ა.

მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

კონიაკი

გაწმენდილი პურის არაყი და ტკბილი სასმელები **დ. ი. კალანდაძისა**
ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.

დასავლეთ საქართველოს

სავაჭრო-სამრეწველო ბანკის

კოლხიდბანკის გამგეობა ამით აცხადებს ბბ. აქციონერების საყურადღებოთ, რომ თანახმად ბანკის საბჭოს დადგენილებისა ამა წლის ოთხ იანვრიდან, მეორე ნახევარი 50 პროცენტი—ხუთასი მან. თითო აქციაზე—შეტანილი უნდა იქნეს ა. წ. 20 თებერვლამდე

ქუთაისში—კოლხიდბანკში, თბილისში—ცენტრობანკში, ბათუმში—საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში, ფოთში, ლანჩხუთში და ოზურგეთში ადგილობრივ ბანკებში.

შენიშვნა: თუ ვადაზე არ იქნა შეტანილი სრულად აქციების მეორე ნახევარი გამგეობა მოიქცევა თანახმად წესდების § 9.

ფულის გადახდის დროს საჭიროა წარმოდგენილ იქნას დროებითი კვიტანციები.

3—3410—1

კოლხიდბანკის გამგეობა.

საყურადღებოდ

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ მან გახსნა ფეხსაცმელების სახელოსნო (ორბელიანის ქ. ტელეგრაფის ჩიხი № 4 ინვალიდების სახლში).

ფასები ძლიერ დაკლებულია.

დანაკვეთის დროზე ასრულებისა და საქონლის ხარისხისათვის სრული პასუხისმგებელია კავშირი.

7—12—4 გამგეობა.

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა აცხადებს

საზოგადოების საყურადღებოდ,

რომ მის საკუთარს სახელოსნოში ქ. ბათუმში მზადდება ბამბუკის ავეჯეულობა: ლოგინები, სკამები, მაგიდები და სხვა. დაკვეთა შეიძლება ქ. ბათუმში, კავშირის განყოფილებაში და ქ. თბილისში, გამგეობის ბინაზე (პლეხანოვის პროსპ. № 139).

7—13—4 გამგეობა.

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა აცხადებს

საზოგადოების საყურადღებოდ,

რომ ამა წლის 20 იანვრიდან

დაიწყება კავშირის ბავშვთა თავშესაფარში ომში დაღუპულ მეომართა უმწეოთ დარჩენილ ობლების მიღება.

წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: 1. არა ქართველთათვის ქვეშევრდომობის მოწმობა (ქალაქის თვითმართველობათა მიერ გაცემული); 2. მისაღებ ბავშვის მამის ნამსახურების ხია, ან მოწმობა მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისა მისი სამსახურის შესახებ; 3. სიღარიბის მოწმობა (გაცემული ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ. თემებში-კი, თემის გამგეობის მთელი შემადგენლობის მიერ ხელმოწერილი). და 4. მისაღებ ბავშვთა მეტრიკული ამოწერილობა. შუამდგომლობა აღძრულ უნდა იქნას მთხოვნელის საცხოვრებელ ადგილის მიხედვით ადგილობრივ თვითმართველობათა მიერ (ქალაქის, ან მაზრის ერობის მიერ). თავშესაფარში მიიღებიან ობლები ორივე სქესისა 6-დან 10 წლამდე. თავისუფალია 30 ადგილი აღზრდა პატრონობას კავშირი კისრულობს 16 წლის შესრულებამდე.

7—14—4 გამგეობა.

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირს აქვს გახსნილი

სასადილო „ბლან-ნუარ“

პლეხანოვის პროსპ. № 83.

ცხელი საჭმელები, ცივი საუზმეულობა, სასმელები.

კავშირის წევრთ ეძლევათ სადილ-ვახშამი ოც-ოც მანეთად (20—20 მან.)

7—15—4 გამგეობა.

გამოვიდა და იყიდება:

არიმანი

ლურჯი კაბარე

გამოცემა ჟურნ. ,,პარნასი''-სა. ფასი 50 მ. მოიკითხეთ კონტ. ,,განათლება''-ში და მეგაზეთეებთან. 1—3412—1

1921 წელს გამოვა შეერთებული დასურათებული საყმაწვილო ჟურნალები

„ჯეჯილი“ და „ნაკადული“

ორივე ჟურნალის შეერთება და გაფართოებული პროგრამით გამოცემა იკისრა ერობათა კავშირმა

რედაქციასთან არსებობს მუდმივი დამხმარე სარედაქციო კომისია. კომისიაში შედიან ალ. მირიანაშვილი, ელ. ელიავა, ალ. მიქაბერიძე, ალ. ფალავა, ან. ხახუტაშვილი, ელ. ვისალაძისა. „ჯეჯილი“ გამოვა მოზრდილთათვის თვეში ერთხელ—64 გვ. ,,ნაკადული'' გამოვა მცირე წლოვანთათვის თვეში ორჯელ—32 გვ. ხელის მოწერა მიიღება თვიურად. ფასი ორივე გამოცემისა—240 მან. ცალ-ცალკე—120 მ. მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, ერობათა კავშირის ბინაზე. ,,ჯეჯილის'' და ,,ნაკადულის'' რედაქცია. რედაქტორები: ანასტასია წერეთლისა, ნინო ნაკაშიძე, პავლე საყვარელიძე. გამომცემელი ერობათა კავშირი. 29. 2—2.

თბილისის უნივერსიტეტი.

თბილისის უნივერსიტეტი უახალგაზრდესი უნივერსიტეტია დედა მიწის ზურგზე. ის მხოლოდ ცოტათი უმცროსია ერევნისაზე და ასეთ სავეზე ბაქოში. ის ამოიცენდა „ჟამსა იწროობისასა“—როგორ იტყოდა ჩვენი მატიანე ძველად და სამი წელი—,,მეტად წველი''—როგორც იტყოდა ამას სულ უთანამედროესი მგოსანი, რომელიც თვით ამ უნივერსიტეტშიაც ალბათ მრავლად არის—წელიწადებია სასოწარკვეთილებისა და აღფრთოვანების, ტანჯვისა და ნეტარებისა და ყველაზედ მეტად კი იმედის, რომელზედაც შეუძლებელია უარი სთქვას, როგორც მთელმა ქართველმა ერმა, ისე მასმა უნივერსიტეტმა.

სამწუხაროდ ჩვენს გონებაში აზრები და ფიქრები სულ სხვანაირად არის ეხლა დალაგებული და როდესაც ჩვენ ,,რევოლიუციის მონაპოვარზე'' და ჩვენი დროის ამბებზე ვლაპარაკობთ, ამ ლაპარაკში ,,ქართულ უნივერსიტეტს'' თითქოს ადგილი არა აქვს.

სდგას იქ—,,ვარაზის ხევში'' თავისთვის მოშორებული თბილისის ჩრეულ ცხოვრებას, გარეშე ხალხის სისინისა, ჩვენი პარადებისა და პოლიტიკისაც და მხოლოდ წიგნის მოყვარულ კაცს, ჩვენ გალატაკებულ წიგნის ვიტრინაში უიმედოთ მომზირალს, თუ გაახსენდება, როცა დაინახავს რომელიმე

—პუბლიკაციო-ს უნივერსიტატის ტფილისენსის!—რომ ჩვენ უნივერსიტეტი გვაქვს.

და რა კარგია მართლა, რომ იმ დროს როცა ჩვენი დღეების კაცობრიობა ისე სდგას მომავალის წინაშე, როგორც ცხვრის ფარა ბაკის კარებთან, სულ უახალგაზრდესი მისი უნივერსიტეტი დამშვენებულია უკვდავი ლათინურით ამ ბრწყინვალებით წარსულ საუკუნეთა ,,წრფილით'' რომელიც მოწმობს მეცნიერ. ნამდვილ უნივერსალობას დედა მიწის ყველა კუთხეში და მის ლამპარის ჩაუქრობლობას ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ძუ მგელმა პირველმა აწოვა ძუძუ რემუსს და რომულოსს.

ჩვენ ჯერ არაფერი არ ვიცით ამ უნივერსიტეტის ტრადიციებზე. სამი წელიწადი ამისთვის მეტად მცირეა. მაგრამ სამი წელიწადი უკვე საკმაო დროა, რომ საზოგადოებას და მთავრობას მისთვის ჯეროვანი ყურადღება მიეპყრო. იქნება ეს ასე არ არის, იქნება ეს ჯერ არ დამდგარა? დღეს, როცა თბილისის უნივერსიტეტი თავის არსებობის სამ წელს დღესასწაულობს, სულ მეტია საყვედური. მე მჯერა, რომ მთავრობის ზრუნვაც და საზოგადოების სიყვარულიც უნივერსიტეტისადმი თავის თავად მოვა ან უკვე მოსულია, რადგანაც ზრუნვა უნივერსიტეტებზე საღმრთო ტრადიცია იყო ყველა ქვეყნებისა და ქვეყნის ყველა მმართველთა და ლოქმა ამ ზრუნვის კაცობრიობას მუხლ მოდრეკით აქვს ნათქვამი.

პაპი ალექსანდრე მე-4 პარიზის უნივერსიტეტს,—უძველეს უნივერსიტეტს ევროპაში, ბოლონიის უნივერსიტეტთან ერთად—,,წყაროს სიბრძნისას'' უწოდებს ,,ხე ცხოვრებისა'' ,,ლამპარი საყდრისა ღვთისა''—აი მისი სიტყვები.

ფრიდრიხ ბარბაროსსა იურისტებში თავის ბუნებრივ მოკავშირეებს ხედავდა და რონკალის ველზე მან გამოსცა შესანიშნავი ბძანება, რომელითაც ის დაპირდა: ,,თავის მფარველობას ყველა მას ვინც მეცნიერების გულისთვის თავის სამშობლოს სტოვებდა და იძულებული იყო ეარა და ეცხოვრა სხვა ქვეყნებში.''

ასეთი იყო სიყვარული და მზრუნველობა უნივერსიტეტებისადმი ძველად, რამდენიმე საუკუნის წინად. ჰერცოგები, მეფენი, იმპერატორები, პაპნი თავის საღმრთო მოვალეობად სთვლიდენ უნივერსიტეტებზე მზრუნველობას. არა ნაკლებ მზრუნველობას იჩენდენ უნივერსიტეტებისადმი ქალაქებიც. მეთოთხმეტე საუკუნეში იტალიის ქალაქ ვერჩელში უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა კონტრაქტი დადეს ქალაქის თემთან ,,საფასურისა და კორპორაციებისთვის საჭირო ბინების შესახებ, სურსათზე და პროფესორების გონორარზედ რექტორების იურისდიქციაზე''. როცა 1246 წ. ქალაქ სიენის მმართველობამ გადასწყვიტა უნივერსიტეტის დაარსება, მან დაგზავნა გზირები მთელ ტოსკანაში სხოლარების (სტუდენტების) მოსაწვევად და როგორც სტუდენტებს, ისე პროფესორებს სტიპენდიები დაუნიშნა.

მე მოვიყვანე აქ იქნება სულ უმნიშვნელო ფაქტები ისტორიით მდიდარ ევროპის უნივერსიტეტების ცხოვრებიდან, მაგრამ ისეთნი, რომლებიც უკვე აშკარად მოწმობენ, საზოგადოების რა აღფრთოვანებულ განწყობილებაზე მოხდა ჩასახვა და მერე აღორძინება ევროპის უნივერსიტეტებისა.

არა ნაკლებ საინტერესო მასალას იძლევა თვით ჩვენი, ქართველი ხალხის ისტორია. სამწუხაროდ ძველი ქართული უნივერსიტეტების ისტორია ჯერ შესწავლილი არ არის და ამაზე მხოლოდ ჩვენ პროფესორებს თუ შეუძლიათ ავტორიტეტული მსჯელობა. ეს ნაკლი თვით ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა შეავსოს. და ამ მხრივ ფრიად საინტერესოა პროფესორ ექვ. თაყაიშვილის შრომა: ,,ხელმწიფის კარის გარიგება'' აქავე ვიტყვით, გამოცემული ჩვენი უნივერსიტეტისაგან.

თუ რა პატივში იყვნენ და მთავრობის რა მზრუნველობას განიცდიდენ ჩვენი სასწავლებლები, სჩანს იქიდან, რომ „მოძღვართ-მოძღვარს“, რომელიც პროფესორ თაყაიშვილის ახალის განმარტებით უმაღლეს სასწავლებლის რექტორს ნიშნავს, პირველი ადგილი ეჭირა დარბაზობაში.

,,მეფე უფრო პატივით იღებს მოძღვართ-მოძღვარს ვიდრე ქუჩნდიდელს, კათოლიკოსებს და სამ პირველ ხარისხოვან ვეზირებს''—ამბობს პროფ. თაყაიშვილი. და ეს შრომა ჩვენი ძვირფასი პროფესორის, სადაც იქნებ პირველად არის ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში დასაბუთებული სტატუტი ძველი ქართულის უნივერსიტეტისა, ძვირფასი საჩუქარია ჩვენი სტუდენტობისათვის და უნივერსიტეტისათვის, მისი არსებობის სამი წლის თავზე.

მოძღვართ მოძღვარის, ან როგორც პროფ. თაყაიშვილი განმარტავს ,,მასწავლებელთა-მასწავლებლის'' დარბაზში მიღება მთელ ცერემონიას წარმოადგენდა. მის მოსაყვანად დარბაზის ერნი უნდა წავიდნენ. მას უნდა გაუგზავნონ ჯორი და სამი ცხენი და კიდევ ორი ცხენი მის მოწაფეთათვის. ეს უკანასკნელი გარემოება ააშკარავებს, რომ პატივში იყო არა მარტო მოძღვართ მოძღვარი, არამედ მისი შეგირდებიც, ეს ჩვენი ძველი სტუდენტები და მაშასადამე მთელი ის დაწესებულებაც რომელსაც ისინი წარმოადგენდენ, ე. ი. ქართული მეცნიერება—ქართული უნივერსიტეტი.

დღეს მთელი საქართველო წარმოადგენს ერთს დიდ და უშველებელ მუშამბას ჩვენი ისტორიის ნანგრევებზე. ჩვენ უკვე ამოვიღეთ ამ ნანგრევებიდან ჩვენი სახელმწიფოებრიობა. მაგრამ იქ ამ რუინებ ქვეშ, ჯერ კიდევ მრავალი განძია დარჩენილი. გადათხრა მთელი იმ მიდამოსი, რომელსაც საქართველო ჰქვიან დღევანდელი და ხვალინდელი ქართველობის უწმინდესი მოვალეობაა. და სამის წლის წინეთ დაარსებული თბილისის უნივერსიტეტიც ერთი იმ განძთაგანია, რომელიც ამ ნანგრევებში იყო მოქცეული. სული იყალთოს აკადემიის, ან კიდევ ბრწყინვალე ცერემონია გელათის სასწავლებლის რექტორის დარბაზობისა უნდა ჩამოისვენონ დღეს ჩვენს უნივერსიტეტში და მთელი ჩვენი წარსულის გულისთვის და მთელი ჩვენი მომავლისათვის ჩვენ უნდა შევიყვაროთ ჩვენი ძვირფასი, ჩვენი კარგი „უნივერსიტას ტფილისენსის“. როგორც უყვარდათ მეცნიერება და განათლება ჩვენ წინაპრებს, მთელ კაცობრიობას.

შალვა ამირეჯიბი.

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით დაარსებულია

პირველი ქართული ბუხჰალტერიის კურსები

ა. გ. საათაშვილისა

ყველა საგნები სპეციალურად ქართულ ენაზეა პირობის გაგება შეიძლება დილის 10—12 საათ. და საღ. 4—5 საათ. ტფილისი, დუშეთის ქ. სახ. № 9. (წყნეთის ქუჩასთან ახლოს). ტრამვ. №№ 5 და 9.

2—3394—2.

15,000 მან. და

ორი ოთახი

იმას ვინც მიშოვის ან დამითმობს სამ ან ოთხ ოთახს სამზარეულოთი მე-9, 10, 6, 3, 2, 1 უბნებში

მისამართი: ალექსანდროვის ქუჩა № 40 ბინა 2.

1—407—13.

ქ. თბილისის აბანოების ადმინისტრაცია

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 26 იანვარს, დილის 11 საათზე, აბანოების კონტორაში, რომელიც იმყოფება ყოფ. ,,ორბელიანის'' აბანოს ზემო სართულში, დანიშნულია საჯარო შეჯიბრება ყოფილ ,,ირაკლის'' აბანოში სალეს სამუშაოს

იჯარით გასაცემად.

პირობების შეტყობა შეიძლება ყოველ დღე დილის 10 საათიდან 2 საათამდე.

2—3405—1.

კიკეთის სააგარაკო კოოპერატივი

ღებულობს წევრებათ, უფულოთ, ყველას, ვისაც: ან აგარაკი აქვს, ან ხარები, ძროხები და ფუტკარი ყავს და ან სხვა და სხვა დარგის მეურნეობაში მუშაობა შეუძლია. ჩაწერა გაგრძელდება 1 თებერვლამდის ზ. დავიდოვის თევზის მაღაზიაში პუშკინის სკვერთან.

5—3393—4

იძულებითი პრინციპი.

თამამად ითქმება, რომ არ არის არც ერთი კუთხე ჩვენი მაღლიდან კურთხეულ ქვეყნისა, სადაც არ იყოს ბუნებრივი შესაძლებლობა მრეწველობის ამა თუ იმ დარგის გაჩენებისათვის.

აგრეთვე თამამად ითქმის, რომ იშვიათია ისეთი ხანა ჩვენს წარსულში, რომელიც ეგრე რიგათ უწყობდეს ხელს ეროვნულ მრეწველობის შექმნის საქმეს, როგორც ახლა.

მთელი მსოფლიო დაქვეითდა წარმოებით მხრივ და ისეთი გადაჯგუფება მოხდა მომრეწავ სახელმწიფოთა შორის, რომ შეუძლებელი შეიქნა მსოფლიო ბაზრის სრული და სავსებით დაკმაყოფილება. წინად ის იყო უმთავრესი საზრუნავი მწარმოებელთათვის, რომ ნაწარმოები გასაღებულიყო და ბაზარზე გაჩერებით არ გაფუჭებულიყო. ეხლა კი სანთლით ეძებენ საქონელს და იშვიათად შოულობენ მას სულ მინიმალურ საჭიროების დასაკმაყოფილებლად. ამ მხრივ ჩვენ სრულიადაც არ მოგველის დამაფრთხობელი კონკურენცია უცხოეთისაგან, თუ კი ჩვენ შევსძლებდით რომელიმე წარმოების სამრეწველო ნიადაგზე დაყენებას.

ამავე საქმეს ხელს უწყობს კიდევ ბევრი სხვა გარემოება: ტრანსპორტის საშუალებათა ნაკლებობა და დიდი მანძილი ჩვენსა და მსოფლიო ცენტრებს შორის.

არავითარი მფარველობითი ბაჟები საჭირო არ არის ეხლა ჩვენი მრეწველობისათვის, რადგან თვით ობიექტიური პირობები ჰქმნიან ხელის შემწყობ გარემოებათ უცხოეთის კონკურენციიდან მის დასაცავათ.

დიდის მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ერთი ნაბიჯი არ გადადგმულა ამ სამი წლის განმავლობაში, რომ ეს არსებული ჩვენთვის ხელსაყრელი პირობები გამოგვეყენებინა და შეგვექმნა რამე წარმოება, დაგვეყენებინა საიმედო ნიადაგზე მრეწველობის რომელიმე ახალი დარგი.

უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მართველი პარტია ულმობელი სიმკაცრით ებრძვის ყოველ ახალ თაოსნობას მოქალაქეთა და მწარმოებელთა წრეებში. ფაქტიური უპირატესობები აქვს ერობისა, თემისა, ქალაქისა, რესპუბლიკისა, ქალაქთა კავშირისა და სხ. დაწესებულებათა იმ საწარმოო დაწესებულებათ, რომელნიც წინათ ფეხზე დააყენეს და გააითარეს კერძო ინიციატივის ძალებმა და რომელთა შენახვა და დაცვა ეხლა ხსენებულ დაწესებულებათ მხოლოდ ერთი პირობით თუ შეუძლიათ: ფაქტიურ უპირატესობათა მინიჭებით ჩამორთმეულ და მისაკუთრებულ წარმოებათათვის მასალის შეძენისა და გადატან გადმოტანის საქმეში.

ყოველი ქარხანა შეიძლება დღეს თუ არა ხვალ გამოცხადდეს ჩამორთმეულად რომელიმე საზოგადო თუ სახელმწიფო დაწესებულებისაგან.

ეს შიში ისეთი შეიქმნა, რომ ყოველ წისქვილს, თუ სხ. რამ ქარხნისებურ საწარმოო დაწესებულებას გაურბის კერძო თაოსნობა.

შიში, რომ ხვალ უკვე შეიძლება ჩამოერთვას დღეს შეძენილი ან მოწყობილი წარმოება ისეთი დიდია, რომ მწარმოებელნი და ვაჭრები ვერ ეკარებიან ავეთ საქმეს.

მაგრამ ამ ბოლო ხანებში მოხდა ისეთი თვალსაჩინო გარემოებები, რომელიც იმედს იძლევა, რომ ეს მნიშვნელოვანი დაბრკოლება ჩვენში მრეწველობის განვითარებისათვის მალე თავიდან იქნება მოშორებული.

ჩვენ დავდევით უცხოელებთან ზოგი ხელშეკრულება, ზოგი კიდევ პროექტადაა დამზადებული სადაც განსაკუთრებული მუხლია მოყვანილი, რომ წარმოება და ნაწარმოები ამადა ამ ქარხნისა არ ექვემდებარება რეკვიზიციას, კონფისკაციას და სხ. იძულებითი ჩამორთმევის ფორმებსო.

თუ ასეთი ცვლილება შევიტანეთ ჩვენ უცხოელთათვის, ჩვენ არ შეგვიძლია დავტოვოთ ეს მავნე წესები ჩვენი მოქალაქეთათვის. თუ ჩვენ ვსცანით სხვებისათვის მავნებლად იძულებითი ფორმები ჩამორთმევისა, რათ უნდა იყოს ის სავალდებულო და მარგებელი ჩვენი თაოსნობით დაწყებულ წარმოებათათვის. თუ საჭიროთ ვრაცხთ უცხოელთათვის კანონის შეჩერებას ჩვენში დაწყებულ წარმოებათა დასაცავათ; თუ საჭიროთ გვაჩნია შევქმნათ სულ სხვა პირობები ახალ სამრეწველო წარმოებათა დაწყება—ამუშავებისათვის, როდესაც ინიციატივა გადამთიელთა ეკუთვნის, რად უნდა იყოს სავალდებულო რეკვიზიციის და სხ. ამგვარი დეკრეტები ჩვენი მოქალაქისათვის.

სამი წლის გამოცდილებამ აშკარად დაგვანახა, რომ იძულებითი ფორმა ჩამორთმევისა ძალიან მავნებელი რამაა წარმოებებისთვის, მრეწველობისათვის. უცხოელთა მიერ მიღებული იჯარა, განზრახული შეთანხმების პროექტები მიწად მოქმედ. სამინისტროში, ყველა შეიცავს განსაკუთრებულ მუხლს იძულებითი ჩამორთმევის წინააღმდეგ. ეს მაგალითებიც საკმაო საბუთია, რომ მრეწველობის განვითარებას აფერხებს რეკვიზიციისა და კონფისკაციის დეკრეტები. ეს შეგნება უკვე გავრცელდა თვით მოსკოვის კომუნისტებშიაც.

თუ თეორიული მსჯელობა არ იყო საკმარისად დამაჯერებელი ჩვენი მენშევიკებისათვის; თუ კომუნისტების ,,უკან დახევა'', ჩვენ ვიტყოდით, დამარცხება ამ საკითხში არ იყო საკმარისი არგუმენტი მათთვის, ცხოვრების გამოცდილება და ის იძულებითი დათმობა, რომელიც მათ უკარნახა ცხოვრებამ უცხოელთა პირისპირ, ყველაფერი ეს მაინც უნდა იყოს საკმარისი, რომ დიდი ხნის შეცდომა გავასწოროთ და რეკვიზიცია და მსგავსი საშინელებანი ავაცდინოთ ჩვენს ისედაც დაავადებულ ეკონომიკას.

ჩამორთმევის იძულებითი ფორმების მოსპობით ჩვენ დიდ დაბრკოლებისაგან გავათავისუფლებთ და მით გავაადვილებთ სახალხო მეურნეობის განვითარების პროცესს.

ამით ჩვენ შევსძლებთ სათანადოთ ვისარგებლოთ იმ ობიექტიური პირობებით, რომელიც ხელს უწყობს ჩვენ საქარხნო ნაწარმოებს სრულიად ბუნებრივად კონკურენციის გარეშე იყოს შინაურ ბაზარზე. თუ სხვა რიგათ არა, სახელმწიფო ვალდებულია მოქალაქეთა კერძო ინიციატივას იმით მაინც დაეხმაროს, რომ ჩვენი მოქალაქენი და უცხო ქვეყნის მწარმოებელნი, ერობები, მათი კავშირი, ქალაქები და მათი კავშირი, და ყოველი სხ. საზოგადო თუ რესპუბლიკის დაწესებულება გაათანაბროს წარმოების ყველა პირობებში.

ეს მოთხოვნილება ჩვენი წარმოებისა სამართლიანია. საკუთარ მრეწველობის განვითარება იმდენათ მნიშვნელოვანი საქმეა, თანამედროვე კაპიტალისტურ ხანაში, რომ მისთვის დიდი მსხვერპლის გაღებაც არ არის დასაშური.

ხოლო თუ დოგმა იქნება მსხვერპლად შესაწირი, ეს ძალიან იაფი და ადვილად მოსახდელ ვალად უნდა ჩაითვალოს ყველასათვის.

პრესსა

„სახალხო საქმე“ შიშს შეუპყრია. საკვირველიც არ არის, რადგან საქართველოში არ არის არც ერთი პარტია, ბოლშევიკების გარდა, რომელიც ისეთი უმწეო და უნიადაგო—ჰაერში ჩამოკიდებული—იყოს, როგორც ფედერალისტებია. ამათი ჯარი და [illegible] აბნეული და ,,უბედურ შეცდომით'' განწირულ ხალხისაგან შესდგება.

არ არის არც ერთი შემთხვევა ჩვენს პარლამენტში, არც ერთი მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში, სადაც ფედერალისტებს რაიმე თვალსაჩინო, რაიმე ღირსეული გამოსვლით თავი ესახელოთ, ან იდეურად ან პრაქტიკულად.

მათი იდეა რუსეთის სამოციან წლებმა და მომდევნო ხანებმა ჩამარხეს რუსეთის აზრუნდებით სავსე წარსულში.

მათი პრაქტიკა პარტიულსა და წვრილმან დაკნინებულ ქიშპობასა და ქნიანობას არ გასცილებია.

საკუთარი უნიათობითა და უნაროობით გაბრაზებულნი ეძებენ თავის დაღწევას და აი, უბედურებავ! ბოლშევიკებისაგან ნასესხებ მეთოდებს კიდევ ვერ ასცდენ!

რა გასაკვირია, რომ ასეთი უმწეო ხალხი, შიშით მოცული, დამთვრალის გულით შეხვდეს საქართველოს არა სოციალისტურ მიმართულებათა გაერთიანებულ პარტიის შექმნასა და ამუშავებას რესპუბლიკისა და ქართველი ხალხის ინტერესების ღირსეულად დაცვისათვის!

უძლურება და საცოდაობაა ,,სახალხო საქმის'' (№ 1035) გამოსვლა ჩვენს წინააღმდეგ!

ამ გაზეთს და მისი სულის ჩამდგმელს სხვა ვერაფერი გამოუნახავს, ვერაფერი მოუგონია, გარდა სამარცხვინო შაბლონისა: ,,სპეკულიაცია'', ,,სპეკულიანტების იდეოლოგია'' ,,იდეოლოგია იმ ბრწყინვალე წოდებისა, რომელიც დაუზოგველად ანიავებდა ერის ქონებასა და მევახშის სასწორზე სდებდა ერის ბედსა და მომავალს''.

საცოდავნი არიან ფედერალისტები და მათი გაზეთი, რომელთაც ვერ შეუგნიათ, ან ძალა არ შესწევთ შეგნების, რომ არა სოციალისტურ ახალ პარტიის ბურჯი საქართველოს მესაკუთრეთა წრე და დემოკრატიაა, სოფლის გლეხობა და ქალაქის მოქალაქეთა წრე.

ქართველ ერის მომავალი ამ წრის გამარჯვებაზეა დამოკიდებული. ამ წრის გამარჯვება-განვითარება თავის თავად ნიშნავს ჩვენს გაძლიერებას და გამარჯვებას. თუ საქართველოს უწერია ბრწყინვალე მომავალი, თუ საქართველო აყვავებისა და გაძლიერების გზაზე დადგა, მაშინ ჩვენი მომავალიც, ჩვენი პარტიის გამარჯვებაც უეჭველია. თუ საქართველოს ეკონომიური დაუძლურება და უბედობა უწერია, მაშინ იხარონ ფედერალისტებმა და მათმა მეგობრებმა, ანარქია ყველას შეუწყობს ხელს და ვერ გაარჩევს ღირსეულსა და უღირსს. იმათაც სწორედ ამის იმედი აქვთ!

ჩვენ გვწამს ჩვენი ხალხისა და ქვეყნის მომავალი და ამიტომ ჩვენ მტკიცედ გვჯერა ჩვენი პარტიის უეჭველი საბოლოო გამარჯვებაც.

,,სახალხო საქმის''-აგან გადმოსროლილი უშინაარსო შაბლონები ჩვენ მხოლოდ ღიმილსა გვგვრის. ერთს კი ვურჩევთ ,,სახალხო საქმეს'': თუ მას ენატრება ,,სპეკულიანტები'', მან თავის საკუჭნაოში შეიხედოს; თუ მას ენატრება ,,ბრწყინვალე წოდება'', ვურჩევთ უკან მიიხედოს.

საქართველოს უნივერსიტეტი.

დღეს 3 წელიწადი შესრულდა, რაც დაარსდა ჩვენი უნივერსიტეტი და მეცნიერება კვლავ ალაპარაკდა ქართულად.

ამ ხნის განმავლობაში უნივერსიტეტი საგრძნობლად გაფართოვდა. მასში ყველა ფაკულტეტებია, გარდა იურიდიულის!

იმედია, რომ ეს ნაკლიც მალე იქნება გამოსწორებული.

უნივერსიტეტის გარშემო შემოიკრიფნენ ყველა ქართველი მეცნიერები, რომლებიც აქამდის რუსეთში მოღვაწეობდნენ.

მხოლოდ ორი თვალსაჩინო მეცნიერია დღეს საქართველოს გარეშე:

პროფ. მარი, რომელიც, ამბობენ, რუსეთიდან წამოსული, ეხლა დასავლეთ ევროპაში იმყოფება, და—საქართველოს დელეგაციის წევრი ზურაბ ავალიშვილი.

მეცნიერების ტაძრის დაარსება საქართველოში მისწრება იყო ჩვენი ახალგაზრდობისთვის; დასავლეთ ევროპაში ჩვენთვის ფრიად ძვირია უმაღლეს სწავლის მიღება, და რუსეთში კი—მეცნიერების შესაძენად, რასაკვირველია, ეხლა ვეღარავინ წავიდოდა!

მით უმეტეს დიდი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენ უნივერსიტეტს დღეს, რომ ამიერკავკასიის უნივერსიტეტი უკვე დაიხურა, ხოლო პოლიტეხნიკუმი, იყო ცნობა, შეუერთეს საქართველოს უნივერსიტეტს.

ვუსურვებთ ჩვენ საქართველოს უნივერსიტეტს, რომ მან სავსებით გაამართლოს ქართველ საზოგადოების იმედები, და დაიჭიროს საპატიო ადგილი დაწინაურებულ ქვეყნებთა უნივერსიტეტთა შორის.

იასონ ჯავახიშვილი.

არასოციალისტური პარტიების კონფერენცია.

გუშინ მოხდა ჩვენ კონფერენციის ორი სხდომა. დილის სხდომაზე თავმჯდომარეობდა გრ. ვეშაპელი, საღამოთი კ. აფხაზი. კრებას ალ. ასათიანმა მოახსენა პროგრამის გეგმა, რომელიც გამომუშავებული იყო სრულუფლებიან საკონფერენციო კომისიის მიერ.

პროგრამა მცირე რედაქციული შესწორებებით ერთხმად მიიღო კონფერენციამ. პროგრამის ტექსტი გამოქვეყნდება ჩვენი გაზეთის შემდეგს ნომერში.

რუსეთი

საბჭოთა კონგრესი მოსკოვში.

ეს კონგრესი გაიხსნა მოსკოვში 22 დეკემბერს დიდი თეატრის დარბაზში. დაესწრო 2,318 კომუნისტი და 157 უპარტიო.

კონგრესის პრეზიდენტად არჩეულმა კალინინმა განმარტა კონგრესის მიზანი—რეალიზაცია ეკონომიურ ორგანიზაციისა.

მთავრობის სახელით გამოვიდა ლენინი, რომელმაც ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა.

ლენინი დაბეჯითებით მოითხოვდა განსაკუთრებულ ზომების მიღებას და ამტკიცებდა, რომ შიში არ უნდა გვქონდეს კაპიტალისტურ სისტემის დაბრუნებისაო.

საკითხი კონცესიების შესახებ წამოყენებულია—ამტკიცებდა ის როგორც ისეთი ზომა, რომელსაც მთავრობა მიჰმართავს მუშათა და გლეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

სიტყვის დასასრულს ლენინმა სთქვა: ეკონომიური სისტემა კომუნიზმისა დამყარებულია ელექტრიფიკაციაზე და ამ დაწესებულების მოსაწყობად საბჭოთა მთავრობა გაიღებს 1,200 მილიონ მანეთსაო. ამ გვარად საბჭოთა რუსეთს უდგება ბედნიერი ხანა თავის ძლიერებისა, რადგანაც პროლეტარიატის რაზმები ივსება ინჟენერებითა და აგრონომებითაო.

23 დეკემბერს მენშევიკმა დანმა თავისი სიტყვა კომუნისტების ქებით დაიწყო და აღიარა რომ საბჭოთა მთავრობა დიდი ბედნიერებაა რუსეთისათვის, მაგრამ სასტიკად გაილაშქრა კონცესიების შესახებ დეკრეტის წინააღმდეგ. ეს დარღვევა არის საბჭოთა კონსტიტუციისა, ამიტომ რომ ამ დეკრეტის გამოცემის დროს საბჭოთა კომისარებს მონაწილეობა არ მიუღიათო.

სოც. რევოლუციონერმა ვოლსკიმ განაცხადა, რომ მილიონი გლეხობა არასოდეს არ დაემორჩილება უხეშ ძალას და თუ გლეხობის ძალად დამორჩილება მოინდომეს, მთავრობის მოსისხლე მტრად გადაიქცევიანო. ლენინმა პასუხი გასცა ვოლსკის, რის შემდეგაც კონგრესმა მოიწონა და დაადასტურა მთავრობის მიერ მიღებული ზომები.

აჯანყებანი მოსკოვში.

ჰელსინგფორსიდან იუწყებიან: კომუნისტებმა განაიარაღეს პირველი დივიზიის მეშვიდე პოლკი (ქვეითა), რომელმაც აჯანყება დაიწყო. ამავე დივიზიის მეხუთე პოლკმა, რომელიც აგრეთვე ჯანყობდა, თავის ნებით დაჰყარა იარაღი. ქალაქის განაპირა ადგილებს იცავს ბაშკირების არტილერია. მოსკოვში ქუჩა ქუჩა იჭერენ აჯანყებულ ჯარის კაცებს. ჯარში ახლად გაწვეულ ბევრს რაზმს იარაღი აჰყარეს. ქუჩებში ბევრი დაჭრილი და მკვდარი ჰყრია. 24 დეკემბერს მოსკოვსა და პეტროგრადს შორის მიმოსვლა შესწყდა. რადგანაც დაწვრილებითი ცნობები არ მოსულა ძნელია დახატვა აჯანყების მთელი სურათისა, მაგრამ ნათლად კი სჩანს რომ მუშათა უკმაყოფილებამ გამოხმობა ჰპოვა ჯარშიაც, რის გამოც ეს უკმაყოფილება აჯანყებად გადაიქცა. („ლე ტან“).

დეპეშები

ს. დ. ს. ს. გ. ცნობები.

აჯანყება მოსკოვში.

სტოკჰოლმი. რეველიდან ვოლფის სააგენტოს აუწყებენ: ღელვება მოსკოვში არა თუ კლებულობს, არამედ თანდათან იზრდება და უკვე მიაღწია უმაღლეს წერტილს. ეს ღელვება იმდენად დიდია, რომ სახ. კომ. საბჭომ გადაწყვიტა პეტროგრადში გადავიდეს, რადგანაც (მათის თქმით) მოსკოვში შეუძლებელია მშვიდობიანი მუშაობის წარმოება. ვოლფის სააგენტო ამასთანავე აღნიშნავს, რომ სახალხო კომისრებს მაინც და მაინც დიდი იმედი არა აქვთ თავისი ჯარებისა და ამიტომ მთავრობას პეტროგრადში გადასვლის დროს დაიცავს ჩინელებისა და ლატიშების რაზმები.

წითელი ლაშქარი.

ვენა. უკრაინის პრეს ბიურო იუწყება: სამხრეთ რუსეთში ბოლშევიკების ჯარების ცენტრი იმყოფება ქალ. სმოლენსკში. სამხრეთში მყოფ ბოლშევიკური ლაშქრის სარდლობა კიევში იმყოფება. ამ ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი დეზერტირობას ეწევა, ნაწილი კი აჯანყებულების მხარეზე გადავიდა. ამიტომ აქ გამოგზავნეს ვილიკოლუკსებისა და თათრებისაგან შემდგარი ჯარის ნაწილები.

საბჭოთა პეტროგრადი.

ბერლინი. გერმანული პრესა ადასტურებს ხმებს საბჭოთა მთავრობის პეტროგრადში გადასვლის სურვილის შესახებ. გადასვლას ხელს უშლის ის გარემოება, რომ შეუძლებელია პეტროგრადში 200.000 საბჭოთა მოსამსახურის მოთავსება.

ანტიბოლშევიკური აჯანყება.

ვენა. თანახმად ლვოვიდან მოსულ ცნობებისა ბალტაში აჯანყებულია ბოლშევიკების მეცხრე ჯარი. საბჭოთა კომისრები დახვრიტეს. აჯანყება ჩააქრეს წითელმა ჯარებმა. აჯანყების ჩაქრობის დროს დაარბიეს ებრაელები. მოკლულია 6 კაცი, მძიმეთ დაიჭრა 37.

ვენიზელოსელების დევნა.

სტამბოლი. „სტამბოლი“ გადმოგვცემს ხმებს იმის შესახებ, რომ თესალიისა და საბერძნეთის პროვინციებში პატიმრებენ ვენიზელოსის მომხრეებს. ათინის სალონიკისა და პატრასის პატიმრობები ავსებულია პოლიტიკური დამნაშავეებით, რომელთაც ბრალი ედებათ სახელმწიფო გადატრიალების მიზნით შეთქმულების მოხდენასა და მეფის შეურაცყოფაში. ამ რეპრესიებს შედეგათ მოჰყვა მრავალი ვენიზელისტის საბერძნეთიდან გაქცევა.

ფრანგული ცნობები

ერთა ლიგის მუშაობა.

ორშაბათს შესდგა სხდომა სენატის საგარეო საქმეთა კომისიისა, კომისიამ მოისმინა ლეონ ბურჟუს მოხსენება ერთა ლიგის მუშაობის შესახებ ჟენევაში.

განიარაღების საკითხი.

ლონდონი. 25 | 1. მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა განიარაღების საკითხის დიდი ხნის განხილვის შემდეგ, ბრიტანიის დელეგაციის ერთ-ერთ წევრის სიტყვით, ისევ სამხედრო ექსპერტებს გადასცეს უკან. ფიქრობენ, რომ ეს არის მომასწავებელი იმისა, რომ მოკავშირეთა შორის სრული შეთანხმება არ მოხდებაო და არის საფუძველი ვთქვათ, რომ მიუხედავათ ტრადიციულ საიდუმლოებისა, რომელშიაც მიმდინარეობს სახელმწიფო მოღვაწეთა ურთიერთ შორის კამათი, მათ შორის უკვე უკმაყოფილებას ეძლევა ადგილი. მაგრამ აზრთა განსხვავებას გერმანიის განიარაღების საკითხში არა აქვს დიდი სერიოზული ხასიათი და თანახმათ მიღებული ცნობისა ეს განსხვავება ერთი დღის შემდეგ უკვე მინელდა. მოკავშირეთა მთავარ მიზანს შეადგენს აიძულონ გერმანია გაანიარაღოს ბავარიის სამოქალაქო გვარდია. მარშალი ფოში გენერალ ნოლლესა, ვეიგანდსა და მარიეტისთან ერთად დაესწრო უმაღლეს საბჭოს სხდომას და შეიტანა წინადადება აცნობონ გერმანიას, რომ იმ შემთხვევაში, თუ იგი (გერმანია) არ შეასრულებს ხელშეკრულების რომელიმე მუხლს, მოკავშირენი იძულებულნი იქნებიან მას სათანადო სასჯელი დაადვანო. „აი დიპლომატი“—სთქვა ფოშის შესახებ ღიმილით პირზე ლოიდ ჯორჯმა. იმედოვნებენ, რომ ფოშისა და მისი თანამშრომლების მოხსენება ხვალისთვის იქნება მზათ. მაგრამ განიარაღების საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ ერთი დღის შემდეგ შეიძლება მოხდეს.

გერმანული ცნობები.

კომუნისტების გაჩხრეკა

ნაუენი. 25 | 1. დიუსელდორფში, ელბერფელდში და ესენში კომუნისტების გაჩხრეკა მოეწყო. გაჩხრეკის დროს მათ ბევრი გამამხილებელი დოკუმენტები აღმოაჩნდა კომუნისტურ პარტიის მიერ შექმნილი წითელი ჯარი ბერლინში იმყოფება. ცნობები ამ ჯარის ორგანიზაციისა, მისი მობილიზაციის გეგმა, შემდეგ ცნობები იმის შესახებ, თუ სად იმყოფება სამხედრო მასალა ამ ჟამად მთავრობის ხელში არის აგრეთვე იმის დასამტკიცებელი ცნობები, რომ კომუნისტებს განზრახული ჰქონდათ შეიარაღებული გამოსვლა ჰამბურგში მომხდარ გაფიცვის გამო, მაგრამ ეს გამოსვლა მათ ორი კვირით გადადვეს, თანახმათ ბერლინიდან მოსული ბრძანებისა. მთავრობა იმედოვნებს რომ ამის შემდეგ ბოლშევიკები, შეიარაღებული გამოსვლას ვერ შესძლებენ.

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი.

გერმანიის დემოკრატიული პრესა დიდ შიშს გამოსთქვამს იმ მიმართულების გამო, რომელიც მიიღო რუსეთის პოლიტიკამ და აღნიშნავს, რომ ამ ჟამად ზავი უფრო სწყურია პოლონეთს, ვიდრე საბჭოთა რუსეთს, რომელიც ახანგრძლივებს მოლაპარაკებას და ამავე დროს ახალ ომისათვის ემზადებაო.

აჯანყება ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ჰელსინგფორსიდან იუწყებიან: გლეხები ციმბირისა და თურქესტანში ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯანყებებს აწყობენო.

ანგორის მისიის ცნობები.

საქართველოში მყოფ ოსმალეთის ეროვნულ ყრილობის მთავრობის წარმომადგენლობა 1920 წლის დეკემბრის 30 დან 1921 წლის 2 იანვრამდე სამხედრო ფრონტებზე მდგომარეობის შესახებ ანატოლიის დეპეშათა სააგენტოს შემდეგ ოფიციალურ ცნობას გადმოგვცემს:

ადანის ფრონტი

საფრანგეთის სამხედრო საველე სასამართლომ მიუსაჯა სიკვდილით დასჯა ოსმალეთის ოფიცერს სახელად იახის, რომელიც ჩაუვარდათ მათ ტყვეთ ქალაქ კოზსუსის მოალინის ნაწილში ბრძოლის დროს.

მთავრობამ მიიღო რა ასეთი ცნობა დაადგინა: თუ საფრანგეთის სამხედრო საველე სასამართლომ მოიყვანა სისრულეში თავისი განაჩენი ამ შემთხვევაში დასჯილი იქნება სიკვდილით ფრანგი ოფიცერი, რის შესახებ უკვე ეცნობა საფრანგეთის მთავრობას.

აინტაბის რაიონში

ოსმალეთის მოწინავე ნაწილებმა მოიგერიეს მტრის ძლიერი შემოტევა. 2) იმ თავდასხმის დროს, რომელიც მოახდინა ჩვენმა ჯარმა მტრის ნაწილებზე ღამით აფეთქებულ იქმნა მოპირდაპირის ერთი თოფხანა. 3) მძიმე ზარბაზნებიდან ჩვენ ვესროდით მოპირდაპირის თოფხანასა და გამაგრებულ პოზიციებს. 4) მტერი უშედეგოთ ესროდა ქალაქ აინტაბას. 5) ისლახიეს დასავლეთ მდებარე ადგილებში მაიდან აქპერის რაიონში მტერი სანგრებში იმალება, რომელსაც ესვრის ჩვენი არტილერია.

მესოპოტამიის ფრონტი.

იანბუხის რაიონში გარს შემორტყმული ფრანგები იხევენ უკან დიდის ზარალითი ბაბის მიმართულებით. მოპირდაპირემ დაჰკარგა 300 კაცი. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს ერთი ტყვიის მფრქვეველი 67 ყუმბარა, 7 სურსათ სანოვაგით დატვირთული ურემი დიდძალი პატრონები ყუმბარები და სხვა სამხედრო მასალა. მოპირდაპირე ალეპოს მიმართულებით ხევს უკან.

დასავლეთის ფრონტი.

იზმირისა და ბრუსის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. იქიდან მოსული ორი კაცი გადმოგვცემს, იმ დატუსაღებათა შესახებ რომლებსაც ბერძნები ახდენენ. იმავე პირებს ცნობით ამ რაიონში იზრდება შიმშილი.

ყარსი

12 | 1. დასავლეთის ფრონტი. ხოდილოეთის ფრონტზე შეტევაზე გადმოსული ბერძნები შევაჩერეთ და შემდეგ უკუ ვაქციეთ. იანვრის 11-ს ანატოლიის ნაწილებმა დაიკავეს ენი-შეერი და ინაგოლი. უკან დახეულ მტრის დადევნება გრძელდება. ყარსი. 13 | 1. დასავლეთის ფრონტი. საბერძნეთის არმიის უკან დახევა გრძელდება. ანატოლიის ჯარებმა 120 კილ მეტრით წაიწიეს წინ. მათ დაიკავეს მთელი რიგი ქალაქებისა და სოფლებისა.

ოსმალეთი და სომხეთი

ანატოლიის წარმომადგენლობის განცხადება. პრესაში გავრცელებული ცნობები ოსმალეთის ჯარის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება. ოსმალეთის ჯარი არასდროს არ ჩაიდენს სომხეთში იმას, რაც დაშნაკელებმა ჩაიდინეს. შურის ძიების მაგივრად ოსმალეთის ჯარმა სომხების მიმართ დიდი კაცთ მოყვარეობა გამოიჩინა, რის დასამტკიცებლად მოიპოვება ძვირფასი დოკუმენტები. ჯარის მიერ დაკავებული ახალ გაზრდა მოქალაქენი კენჭის ყრით მოწვეულნი იყვნენ სომხეთის ჯარში და ამიტომ ისინი ჩარიცხულ იქმნენ სამხედრო ტყვეების რიცხვში რათაც დარჩებიან ხელ შეკრულების პირველ მუხლების შესრულებამდე. გენერლებისა და შტაბ ოფიცრებისა ყარსში დატოვება დიდი ხნით შეუძლებელი იყო, ვინაიდან ყარსი წარმოადგენს სამხედრო მოქმედების ასპარეზის ერთ-ერთ მთავარ პუნქტს. ამიტომ ისინი გადაყვანილნი და მოთავსებულნი იყვნენ სარიყამიშის და ერზერუმის გარნიზონებში. ცნობები იმის შესახებ, თითქოს მათ ცუდათ ეპყრობიან და შეურაცხყოფას აყენებენ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. გაზ. „მშაკის“ ასეთი ცნობები სინამდვილეს არ შეეფერება და მათ არავითარი ნიადაგი არა აქვთ.

სომხეთში.

მდგომარეობა სომხეთში.

„რეფორმები.“

რევკომის მოსვლის შემდეგ შემოღებულ იქნა მთელი რიგი „რეფორმებისა“, მაგალითად სასტიკად აკრძალულ იქნა საპყრობილეების გათბობა, ხოლო ამ განკარგულების განხორციელების უზრუნველ საყოფად გაცემულ იქნა ბრძანება, რომ ყველა საპყრობილეებში დანგრეულ იქნას ღუმელები.

საპყრობილეებში.

საპყრობილეები იმყოფებიან საშინელს პირობებში. ტუსაღებს აძლევენ დღეში ერთი გირვანქის ოდენა პურს და სხვა არ ფერს. საკნების კარები საბოლოვოდ იხურება საღამოს 7 საათზე, ხოლო იღება დილის ცხრის ნახევარზე ან ცხრაზე. უმცირეს საკანში (4—6 არშინი) მოთავსებულ არიან 50 ამდე ტუსაღი, რომელთაც არა თუ დაჯდომა, არამედ განძრევაც არ შეუძლიანთ. და ეს ხალხი გაუნძრევლად და უძილოდ ელის თავის დახსნის დღეს—დღეს სიკვდილისას.

კომუნისტური გაზეთები.

გამოდიან სომხურ, რუსულ და თათრულ ენებზე „კომუნისტები“. ეს გაზეთები იბეჭდება საკმაოდ უწესრიგოდ და ელემენტარული შეცდომების დაშვებით. ბეჭდავენ განუწყვეტლივ უცნობ კუნძულების კომუნისტურ პარტიების რეზოლიუციებს, კომუნისტების დიდს გამარჯვებებზე ევროპაში-ამერიკაში და მარსზე.

რაც შეეხება წერილების შინარსს, ისინი თავიდან ბოლომდე შეიცავენ დაშნაკელების, დაშნაკცუთიუნის და მაუზერისტების გაბიაბრურებას.

სომხებს არ ენდობიან.

რევკომი შიშსა გრძნობს; იგი არა თვლის საშიშროებას თავიდან აცილებულად და ამიტომ დიდის ენერგით ცდილობს სომეხ მსახურთა, სომეხ ჯარის კაცთა და საზოგადოდ სომეხთა ნეიტრალიზაციის მოხდენას; სადაც შესაძლებელია—სომხებს სცვლიან რუსებით, ხოლო იქ, სადაც ძალა არ შესწევთ, რუსებს, თუნდაც სრულიად უსწავლელთ ნიშნავენ დაწესებულებათა უფროსებად, ხოლო სომხებს ანიჭებენ ქუჩების დამგველთა თანამდებობებს.—(„ამ.“)

ახალი ამბები

— მორიგი გაწვევა. გენერალურ შტაბში. გენერალური შტაბი აცხადებს: მიმდინარე წლის 6 თებერვალს დანიშნულია მორიგი გაწვევა ჯარში.

— დამფუძნებელ კრებაში. დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის წევრმა მ. კალაძემ წარუდგინა სამხედრო კომისიას მოხსენება იმ რევიზიის შედეგების შესახებ, რომელიც მან კომისიის დავალებით სოხუმის ოლქში მდგარ ჯარის ნაწილებში მოახდინა.

— ბათომი. 22—1. (საკ. კორესპ.) იანვრის 20 ს მრავალ რიცხოვანმა ყრილობამ სოფ. მელისიში მოისმინა რა მოხსენება ი. რამიშვილისა და მიქაბერიძისა, გამოიტანა დადგენილება: მცხოვრებლები უარს აცხადებენ აყენ მომავალში იმ აგიტატორებს, რომლებიც მათ საქართველოს წინააღმდეგ მოუწოდებენ და რომ არ გადადგან არც ერთი ნაბიჯი, რომელიც გაერთიანებულ საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების წინააღმდეგ იქნება მიმართული.

— ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში. იანვრის 15-დან სოფ. კაჭრეთში (სიღნაღის მაზრაში) გაიხსნა ფოსტა ტელეგრაფის განყოფილება. ჯერ-ჯერობით მხოლოდ საფოსტო ოპერაციები ხდება.

— სამუნიციპალო აღწერა. იანვრის 22-ს დასრულდა თბილისის მცხოვრებთა აღწერა მომავალ სამუნიციპალო არჩევნებისათვის: ჯერჯერობით სიაში 68000 ათასი ამრჩეველი არის შეტანილი. საარჩევნო სიები დამზადებული იქნება თებერვლის 1 სათვის. სიებს საბჭოს საგანგებო კომისია გადასინჯავს.

— სოხუმი. (საკუთარ კორესპ.). სოც. დემ. პარტ. სოხუმის ორგანიზაციის წევრთა საერთო ყრილობაზე გამოიტანეს გადაწყვეტილება სოხუმში პარტიულ მუშაობის გაძლიერების შესახებ. გადაწყდა ს. დ. იაჩეიკების დაარსება, სარაიონო კლუბების გახსნა. (ს. დ. ს.)

— ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ახალი სახელმძღვანელო სარგის კაკაბაძისა: „შემოკლებული ისტორია საქართველოსი“—ახალი საუკუნოების ეპოქა. გამოცემა „სორაპნისა“.

— თანახმად მომართვისა სასამართლოს გამომძიებელ სა შულავერის უბნის № 578 ით სისხლის სამართლის მილიციის მოხელეების მიერ შეპყრობილია და მოთავსებულია ციხეში შენახვით ხსენებულ უბნის გამომძიებელზე მუსტაფა ალი ბეკოღლი ეაუბოვი, რომელსაც ბრალდება შეიარაღებული დაცემა და გაძარცვა პაში იბრაგიმ ოღლისა და სხვ:

— სისხლის სამართლის მილიციის მოხელეების მიერ შეპყრობილია აბრამ მაგაკის ძე ელიგულაშვილი, რომელსაც ბრალდება ქურდულათ შეძენილი ნივთების ყიდვა ღირებულის 600.000 მან. მოპარული შახნაზაროვის ბინიდგან, სოლოლაკის ქუჩ. სახ. № 17.

ნავთის მრეწველობა საქართველოში.

იანვრის 23 ქალაქის საბჭოს შენობაში სამთო სამმართველოს უფროს ი. ყიფშიძის თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი სპეციალისტებისა ნავთის წარმოებაში. თათბირზე მოწვეულნი იყვნენ ქალაქის და ერობათა კავშირის წარმომადგენელნი და აგრეთვე კოოპერატივთა, ბანკებისა, კომერციულ წრეების და სხ. წარმომადგენელნი. თათბირი მეტად თანაგრძნობით შეხვდა საქართველოში ნავთის წარმოების მოწესრიგების საკითხს და იგი პირველ ხარისხოვან საკითხად იქმნა ცნობილი. ყრილობაზე აირჩიეს სამი კომისია: ტეხნიკური, კომერციული და იურიდიული. აღნიშნულ კომისიებს თათბირმა მიანდო სამი დღის განმავლობაში დაამუშაოს საკითხი ნავთის წარმოების ტეხნიკურ და გეოლოგიურ მუშაობის პირობებისა. ამავე თათბირზე იქმნა განცხადებული საგანგებო დელეგაციის მიერ ფინანსთა მინისტრისადმი წარდგენილ წერილობით მოხსენების შესახებ საქართველოში ნავთის წარმოების საკითხის მოწესრიგების შესახებ. ფინანსთა მინისტრი აღნიშნულ საკითხს დიდის თანაგრძნობით მოეპყრა და განაცხადა, რომ მთავრობა მზათაა ამ საქმის დამწყებელთ სათანადო დახმარება აღმოუჩინოს. (ს. დ. ს.).

საიჯარო შემოსავალი

მიწათმოქმედების მინისტრის საბჭომ მოისმინა რა მოხსენება საიჯარო განყოფილების გამგისა, დაადგინა მიიღოს მთელი რიგი ზომებისა, რომლებიც საიჯარო შემოსავლის გადიდებისაკენ იქნება მიმართული. პირველად ყოვლისა გადაწყდა: 1) საიჯარო განყოფილება უნდა მიისწრაფოდეს გააძლიეროს შემოსავალი იმ მიწებიდან, რომლებიც იჯარით გაიცემა, უნდა მიიღოს ზომები აგრეთვე მათი დამუშავების გაუმჯობე-

---

შიოლა

ზამთარი სულ ახლოს მოპარულიყო და სოფელი სიცივესა გრძნობდა. შეღამებისას ახალგაზდა მეხრეებს გომურში თავი მოეყარათ და თავისებურად დროს ატარებდნენ: ხან სადღაც სივრცეში მიმალულს ზაფხულის ღამეებს იგონებდნენ, ხან ფანდურს აჟუჟუნებდნენ. ხან სტვირს ალაღანებდნენ, ხან მღეროდენ, თამაშობდნენ და ხან ერთმანეთს კვიმატს სიტყვას ესროდნენ და გულიანად ხარხარებდნენ.

— გეყოფათ თქვენ ეეი! იკმარეთ!—დაუყვირა, გომურში ახლად შემოსულმა, გომურის პატრონმა.—საცაა შუაღამე იქნება, დაეყარენით და დაიძინეთ!.. როდისღა უნდა ადგეთ?

— რას ამბობ, პეტრე? ეხლა არ შაღამდა?—მისცა ხმა გომურის პატრონსა, ყველას ნაცვლად, მეხრეების გუნდიდან გუგულამ.

— დედიშენისა?, ეხლა შაღამდა! აბა გადი გარეთ, ნახე, რა ამბავია?—უთხრა პეტრემ გაჯავრებით და თავის საქონელს მიუტრიალდა.

— მაშ, დავიძინოთ! დავიძინოთ! პეტრეს ნუ გავაჯავრებთ!—გაისმა მეხრეებს შორის და გომურის ტახტმა ტოკვა შექმნა: საძილეთ მზადება დაიწყეს.

— დაიცათ! დაიცათ!—შეაჩერა გუგულამ ამოძრავებული ხალხი.—ისე როგორ დავიძინოთ რომ ზღაპარი არ ვათქმევინოთ ვისმე?

— ვათქმევინოთ, ვათქმევინოთ!—დაუჭირეს მხარი გუგულას აზრსა დანარჩენმა მეხრეებმა და ზღაპრის მთქმელის გამოძებნას შეუდგნენ.

გომურის სივრცეს საფანტივით მოედო სიტყვები:

— აბა, ვინ იტყვის? აბა, ვინ იტყვის? ვინ იტყვის?.. შენა, ბუტუ!.. შენა თქვი, შენა, დათა!.. შენა, ჯღუნა!.. არა, შენა! შენა, თავდიდო!.. არა, შენა!.. არა შენა!..

ყურთა სმენა აღარ იყო: ყველა თავისას გაიძახოდა.

— აი გაგიწყრეთ ცისა და ქვეყნის გამჩენი!

ჩამოსწყევლა წრეს გადასული ამხანაგები გუგულამ.— არ გესმით?.. გაჩუმდით, თქვე ოჯახდაქცეულებო! ნუ აუშვით იალქნები!.. დარბაისელო! ჰა, დარბაისელო! მოდი ერთი, შენ გვიამბე რამე!.. შენ რომ იცი ხოლმე, ისეთი.

— სახელის დარბაისელის გაგონებაზე მოულოდნელი სიწყნარე ჩამოვარდა და ყველამ პირხმელ ახალგაზდას მიაპყრო თვალი.

დარბაისელს ცალკე მოენახა ბინა და მდუმარებას მისცემოდა. ამხანაგების ყვირილ—ხარხარი სრულიად არ ესმოდა. არც გუგულას ძახილი გაუგონია. თვალები მიჰქრობოდა: თითქოს სადღაც გაუგზავნია დასათვალიერებლადაო. შუბლზე ღრმა ნაოჭები დასწყობოდა. თავის აგებულობით უფრო ავადმყოფს მოაგონებდა ადამიანსა, სანამ კარგამყოფს.

— გინდათ,—მიმართა ამხანაგებს თავდიდმა,—ე სახრის წვერი ზედ ცხვირზე მივადო? დედის სულს გეფიცებით, ვერაფერს დაინახავს!

სახრეს ხელი წამოავლო, მაგრამ გუგულამ შეაჩერა.

— არ მიჰქარო, ეეი, თავდიდო! ნეტავი მაგოდენა გოგრაში, რატომ დარბაისლის ფეხის ნეკა თითის ფჩხილის ოდენა ჭკუა მაინც არ ჩაგიდო ღმერთმა?.. რო შაკრთეს უცბად და თვალში ეტაკოს სახრე, მერე! ხომ გაგატყავეთ!

— მართალს გეუბნება გუგულა, თავდიდო, მართალსა!—უთხრა ბუტუმ.—შიოლას რომ აწყენო ცოცხალს აღარ გაგიშვებთ! ეგ ჩვენი ნასწავლია!

დარბაისელის ნამდვილი სახელი შიოლა იყო. დარბაისელი დაერქვა დინჯი ლაპარაკისათვის. შიოლას სოფლის სასწავლებელი ჰქონდა გათავებული და წერა-კითხვა კარგად იცოდა.

— წიგნი რამ წაგვიკითხოს, წიგნი—გამოსთქვა სურვილი დათომ—უბეში იდება.

— ე ოხერი, კაცო, მეცა ვწავლობდი ი ოხერ სკოლაში, მაგრამ ხელის მოწერა ძლივს ვიცი—განაცხადა გულუბრყვილოდ თავდიდმა.

ამხანაგებმა გადიხარხარეს.

— ტყუილად კი არ გითხრა გუგულამ,—უთხრა თავდიდს ბუტუმ,—დარბაისლის ფეხის ნეკათითის ფჩხილის ოდენა ჭკუაც არა გაქვს მაგოდენა გოგრაშიო.

— კარგი ერთი!—შეუტია ბუტუს თავდიდმა—მე, შვილოსან, გავათავე სკოლა და წიგნი ხელში აღარ ამიღია. ეგ კიდევ, საცა ქაღალდის ნაგლეჯსა ნახავს, წაუკითხავს არ დააგდებს, მე კი არ ვიცი, არ დავიწყდება.

— მგონი, ჩვენმა შიოლამ ყველაფერი იცის,—ჩაურთო სიტყვა ჯღუნამ საერთო ლაპარაკში.—ბალახის ლაპარაკიც კი ესმის!

— დაკარგე აქედან—წაჰკრა ენერგიული მუჯლუგუნი თავდიდმა ჯღუნასა.—ბალახის ლაპარაკი კი არა, ის არ გინდა! ამოდენას ვყვირით, ის არ ესმის და ბალახის ლაპარაკი ესმის ბიჭო!..

— ღმერთმანი, თავდიდო, ესმის—გაიმეორა ჯღუნამ დარწმუნებით.

— არაფერიც არ ესმის!—უარჰყო კიდევ თავდიდმა.

— შენ ისთანა დამთხვეულისა თუ არა ესმის რა, თორემ სხვა ყველაფერი ესმის!—მიახალა სწრაფად ბუტუმ.

— ე, ბუტუ! აი!—თავდიდმა ბუტუს სახრე მოუღერა—ხომ არ გინდა ბეჭებში?

— ეგ შენ გინდა, მე კი არა!—შეუბრუნა სიტყვა ბუტუმ.

— ე ღმერთო! ძაღლები ესა, ახლა როდიღა დაგვაცლიან ი ბიჭს ზღაპარი ვათქმევინოთ!—სთქვა გუგულამ და თავდიდს ხელიდან სახრე გამოჰგლიჯა.

— ტახტ ქვეშ შააგდე, ტახტქვეშ!—დაუძახა ჯღუნამ.

— არაფერსაც არ შავაგდებ—უპასუხა გუგულამ და დარბაისელს მოუახლოვდა.

მხარზე ხელი დაადო და შეარხია.

— შიოლა! შიოლა! არ გესმის?

დარბაისელს მიმქრალი თვალები გაუშუქდნენ, სახეზე სანდომიანი გამომეტყველება აღიბეჭდა.

— რაო, გუგულა? რა იყო? —გაისმა გომურში ნელი ხმა და ყველას ტანში ტკბილმა ჟრუანტელმა დაუარა; სახე ლმობიერებით აევსოთ. ყველა მიიხიბლა.

— შიოლა, გვიამბე რამე!—უთხრა გუგულამ.— შენ იმდენ წიგნებს კითხულობ, რომ ყველაფერი იცი.

დარბაისელი არ განაზებულა, წამსვე დათანხმდა. ასე იცოდა, კაცს თავის დღეში ხათრს არ გაუტეხდა.

ზეზე წამოდგა, წრიწინტი, მხრებშეხრილი. მეხრეთა ჯგუფს უხმო ნაბიჯით მიუახლოვდა.

ტახტზე შუა ადგილი დაუთმეს.

ყველამ ყურები დაცქვიტა. პირში მიაჩერდნენ, არა გამოგვეპაროს რაო.

——

შიოლამ დაიწყო.

გუშინ მტკვრის ნაპირებს ჩაუარე. ახლად ფეხამდგარს ყინვას წყალი ნაწიბურებით მოერთო.

— ოოჰ! ღმერთო!—გავიგონე ერთ ადგილას გულის სიღრმიდან ამონადენი სიტყვები.—სიცივე მიჯდება ტანში, სიცივე!—მოვკარ ყური მეორე ადგილას.

და მერე იცით ვინ იყო?.. მტკვარი!...

ნუ გიკვირთ. დედამიწაზე ყველასა და ყველაფერს აქვს თავისი ენა...

— შენ რაც მიგდის, სულ ჩვენი ცოდვით მოგდის, მტკვარო, სულ ჩვენი ცოდვით!—შეჰპუზლუნეს ნიშნის მიგებით შეკივებულ მდინარეს ნაპირებმა.—რა გეგონა? განა შეგრჩებოდა გაზაფხულის ოინები?

— დაჭრილი დათვივით ღრიალებს ხოლმე ეს დაწყევლილი!—წამოიძახა კლდიანმა ნაპირმა.—ვერაფერს კი მაკლებს, მაგრამ არ მესიამოვნება: ძილს მიფრთხობს.

— ნუ ხარ, კლდევ, გულმავიწყი!—წაიშრიალა მკვახედ მახლობლად მდგარმა მუხამ და მიმართა სხვა ნაპირებს.—ხომ კარგა ხნისა ვარ, ყველა თქვენგანმა იცის, ყველას ზევიდან დაგყურებთ და ყველაფერსა ვხედავ.

— მერე, რა გინდა მაგითი სთქვა?—შეეკითხა ამრეზილი კლდე.

— რა უნდა ვსთქვა და ის უნდა ვსთქვა, რომ,—უპასუხა მუხამ,—შენ აგეთი როდი იყავი წინათ. მახსოვს როცა კალთა თითქმის აი აქნობამდე გქონდა.—მუხამ მტკვრის შუაგულზე მიუშვირა ტოტი.—ეხლა სად არის ის შენი კალთა? გიხაზუნა და გიხაზუნა მტკვარმა რიყის ქვები, გიხაზუნა და გიხაზუნა და ე ფართო კაბა მთლად შემოგაგლისა, ლოლოტინა გაგხადა.

— ოოჰ! ნეტავი ერთი! ნეტავი ერთი ამომაყრევინა ამ მტკვრის ჯავრი და სხვა არა მინდა რა!—ინატრა თიხიანმა ნაპირმა.—ვჩუტავ, ვჩუტავ, ვჩუტავ

კახელ მევენახეთა ამხანაგობა
ივერია
ფირ. მარ.
(მთავარი საწყობი და კონტორა)
— ტფილისი, თამამშევის ქარვასლა.

ამხანაგობა ,,ივერია"-ში შედიან განსაკუთრებით კახეთის საუკეთესო ადგილების ვენახების პატრონნი, სახელდობრ: კარდანახის, ბაკურციხის, ხირსის, იყალთოს და რუისპირის მევენახენი. ამხანაგობის მიზანია—უშუამავლოთ მიაწოდოს მომხმარებელს საკუთარი საუკ. ნამდვ. კახურ. ბუნების ღვინო. ამხანაგობის წესდება დამტკიცებულია მთავრობის მიერ.

იანვარი
26
ოთხშაბათი
ძვ. სტ. 13 იანვარი
მთვარე 18 დღისა
მზე ამოდის 7—20
ჩადის 5—70
წმ. მოწ. ერმილესი და სტრატონიკესი, პეტრესი, ღირ. იაკობ ნიზობელისა
26 შემდეგი უქმე 30 იანვარი 339.
ოპერა: ,,კარნავალი".
დრამა:

ა. ს. ლორთქიფანიძის
სავაჭრო სააგენტო-საკომისიო კონტორაში
(დამფუძნებელ კრების ქ. № 5, მეორე სართულში თბილისის კოოპერატივთა კავშ. გვერდზე).
მიღებულია შემდეგი ახ. საქონელი:
ხერხები ზირიდაბირები, ფანქრები, ცხვირსახოცები და ჯიბის დანები
იყიდება ბითუმად, შეიძლება ნაწილობრივაც შეძენა.

სებისათვის. 2) სასწრაფოდ უნდა გაატაროს დამფუძნებელ კრებაში კანონპროექტი იჯარით გასაცემ სახელმწიფო მამულთა გადასახადის გადიდების შესახებ. 3) უნდა დაჩქარდეს გამოკვლევა ადგილობრივ საძოვარ მინდვრებისა და მათ ანგარიშში მოყვანა. ამ ზომის სასწრაფოდ გასატარებლად უნდა გაიგზავნოს საკმაო რიცხვი მიწის მზომლებისა. 4) სათესით დახმარების აღმოჩენის საქმე მომავალში უნდა გადაეცეს სასოფლო სამეურნეო განყოფილებას. უკანასკნელს უნდა მიენდოს საერთოდ ადგილობრივ მცხოვრებთათვის აგრონომიულ დახმარების აღმოჩენის საქმე. 5) მიენდოს განყოფილებას ზაფხულის საძოვარ ადგილების იჯარის გადიდების საკითხის შესახებ მოხსენების შემუშავება. 6) მიეცეს წინადადება განყოფილებას მიიღოს ზომები იმისათვის, რომ მომავალში უფრო ნათლად გამოარკვიოს იჯარის რაოდენობა იმის და მიხედვით თუ როგორი იქნება ფაქტიური მოსავალი. 7) განყოფილებამ უნდა მიიღოს ზომები საზოგადო თუ კერძო პირების მიერ მიღებულ სესხის დასაბრუნებლად. 8) უნდა გაძლიერდეს კონტროლი ღალის აკრეფის დროს, უნდა გააძლიერონ კონტროლი აგრეთვე მიწებისა და საძოვარ ადგილების იჯარით გაცემის დროს. 9) მიენდოს საიჯარო განყოფილებას სასწრაფოდ შეიმუშაოს მოხსენება ერობისა და მიწის ფონდის გამგის შორის არსებულ დამოკიდებულების შესახებ. (ს. დ. ს.).

ჩვენი კორესპონდენტები

სოფ. სიქთარუა და სოციალ-დემოკრატები.

თავიდანვე სოფ. სიქთარუის მცხოვრებლებმა თავი შორს დაიჭირეს სოც. დემოკრატებიდან და მათ ჭამოსროლილ ანკესზე არ წამოეგენ—სიქთარუელები არიან დინჯი, დაკვირვებულნი და შრომის მოყვარე ხალხი. არა მუშა და ზარმაცი მათ ძლიერ ეზარებათ—და თვალის დასანახავად ეჯავრებათ ისინი. მიხვდენ, რომ სოციალ-დემოკრატები მათ ბევრს ვერაფერ სიკეთეს მოუტანდენ და ყოველ არჩევნებზე ზურგი შეაქციეს. დღეს კიდევ ზოგ თავ აღებულ ახალგაზრდას საქმე შემოლევია და სოციალ-დემოკრატიული პარტიის სასარგებლოდ აგიტაციას ეწევა. (ალბათ, როგორც სხვებს დაწინაურება უნდა.) მიკვირს ღმერთმანი, რომ აგინებენ ეროვნულ დემოკრატებსა, ერთი თავის თავსაც და უკვირდენ: რა მოუტანეს მათ და მათმა პარტიამ ხალხს? ჩააცვეს, დაახურეს, დააპურეს თუ რა ჰქნეს? თავისუფლება მისცეს, მერე როგორი თავისუფლება არ იკითხავთ?

დაუსვეს სათემო ერობაში ვიღაც არა მკითხე სოციალ-დემოკრატი, არა ხალხის მიერ არჩეული, არამედ ზემოდან დანიშნული (როგორც ძველ დროს), რომელმაც დღე გაუმწარა, როგორც მოშივან მოპასუხეს, ისე გამგეობის დანარჩენ წევრებს. და რომელიც ახალ მთვარეზე რწევებს აშლილი გიჟივით აქეთ იქით დახტის და ყვირის. (ეს არის მათი პარტიის კოლექტივის თავმჯდომარე თერჯოლაში). კიდევ რა ჰქნეს საყურადღებო? რა ჰქნეს და იმ მასწავლებელს რომელმაც ორი თვე უმიზეზოთ სკოლა მიატოვა, მოწაფეები გაგვიცდინა, მასწავლებლების ინსტრუქტორობა მისცეს. რატომ? მიტომ, რომ ფედერალისტებიდან სოციალ-დემოკრატიაში შევარდა. კიდევ რას შვრებიან? აი რას: ფოსტა თრი დღის ნაცვლად ერთჯერ ძლივს მოდოლავს კვირაში. იანვრიდან, როგორც ხმები დადის, მოტანაზე უარს ამბობენ. თქვენ თვითონ უნდა წაილოთო. სხვა გადასახადებთან ერთად მილიონ ნახევრამდინ უნდა გადაიხადოს მოსალანი თერჯოლამ და ჩხარმა (მათი შეხედულობით კი გადასახადი სულ არ ედებოდა ხალხს.) აი კანონი და სამართალი! ყმაწვილებო! ჩაუკვირდით ყველა ამას, გაეცანით თქვენი პარტიის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს და მერე აძაგეთ ეროვნულ-დემოკრატები... ხალხიც ჩახვდა თქვენი პარტიის მოქმედებას და ნელ ნელა ზურგს გაქცევთ. მაგრამ რა უყოთ ,,წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ხანისაო". ხომ გაგიგონიათ. ერთი წყალობა ჰქენით და მიხედეთ იმ დაწესებულებებს, რომელსაც ესაჭიროება კონტროლი და დროზე შველა..

ვ. გუთნურისშვილი.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: სპ. კედია.

,,სორაპანის" გამოცემა
დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ სარგის კაკაბაძის
,,შემოკლებული ისტორია საქართველოსი"
ახალი საუკუნის ეპოქა.
სახელმძღვანელო უმაღლეს დაწყებით ს.სწავლებლების და საშუალო სასწავლებლების მეოთხე კლასის კურსი
ფასი 400 მ.
მისამართი: თბილისი, სტამბა ,,სორაპანი" მ. გაჩეჩილაძეს.
1—4 3414

ამის წყალს ზამთარ-ზაფხულ და ვერა გავაწყე რა.

— ჰა! ჰა! ჰა! ჰა! ჰა!—დააყარეს სიცილი თიხიანსა აქეთ იქიდან თ ნამოძმეებმა.—რა სულელი რამა ხარ! ამოდენა წყალს რა შეგასუტინებს?

— ჩვენ იმის მაგივრად, რომ ერთმანეთს ხელი მივცეთ და ჩვენი საერთო მტერი გავანადგუროთ, ერთმანეთს მასხარად ვიგდებთ—წამოიბაყბაყა თიხიანმა ნაპირმა.—არც ერთ ჩვენგანს არ ადგია კაი დღე ამ უსინდისოსაგან—მტკვარს ბოროტად თვალი გადაავლო. ამის ცემისაგან გვერდები აღარა მაქვს. შარშან გაზაფხულზე არ იყო,—მიმართა თიხიან ნაპირს,—რომ ერთი სილის გაკვრით ყბები შემოგალეწა?

— მართალია, მართალი!—მისცეს ბანი ყველამ.

— მე მკერდი გამომალადრა—დაუმატა ერთმა.

— მე კიდევ შიგნეულობა სულ გამომაჭამა—დაურთო მეორემ.

— მე ერთი უზარმაზარი ლოდი მომაგდო და აქნობამდე ვერ მომიშორებია: ძლივსა ვსუნთქავ!—მოისმა მესამისაგან.

— მე ისეთი უწმინდურობა შემომაყარა, რომ სულ ვიხრჩობი!—მოახწიეს მეოთხისაგან სიტყვებმა.

— მე? მე კიდევ იცით რა მიყო?.. ხომ ხედავთ რა მშვენიერი ბაღია ჩემ ზურგზე აქედან მოშორებით?—დაიწყო მეხუთემ მდინარისგნით შექმნილ კუნძულზე უჩვენა.—აქნობამდე ახწევდა, გადმომიკარდა, ჩემო ბატონო, და ნახევარი სულ რიყით ამივსო!..

ბევრი საჩივარი აღიძრა კიდევ საწყალ მტკვარზე, ბევრი! ადამიანი ვერ მოსთვლის. ვინ იცის, ვინ რა დანაშაული არ დაასახელა!

მტკვარი ისმენდა გაბოროტებულ ლაპარაკსა და ბუტბუტით მიერეკებოდა თავის წყლებს. ალაგ-ალაგ მწარეთ ამოჰგრგვინავდა ხოლმე მომჩივანთა, ალაგ-ალაგ მკახედ ამოსჩხრიალებდა ხოლმე: რა ჩემი ბრალიაო? დადგება გაზაფხული და მოსვენება არა მაქვს მთებისაგანო. დაიწყებენ ე ბუმბერაზი თავის ბანვას, შელამაზებას და თავის ნაბანს თავზე მაქცევენო. ბევრს ვუყვარი, ვუჯავრდები, მაგრამ წარბსაც არ იხრიან, ყურს არ იბერტყავენო. მეც ცოცხალი არსება ვარ, გული მიანჩხლდება და ვირევიო.

— ერთი ამას უყურეთ! ერთი ამას უყურეთ! ერთი ამას უყურეთ როგორ თავს იკატუნებს!—აყაყანდენ ყოველ მხრიდან მტკვრის თავის მართლების გაგონებაზე—მაშა, მაშა! თავს იკატუნებს! თავს იკატუნებს!.. არა, არა! მტკვარო, ჩვენს მსჯავრს ვერ წაუხვალ ვერ წაუხვალ, რაც უნდა ბევრი იძვრინო თავი! ჩვენ შევეხვეწებით ყინვას რომ სულ შეგბოჭოს.

— ნუ იზამთ მაგას!—მომესმა ერთ ადგილას მტკვრის ჯერ მინაზებული ყრუ ხმა და მერე რაკ-რაკი.—ჩემი ბრალი არ არის! არ არის! არ არის! არა! არა! არა და არა!

— ჰო და მაგისი ბრალი არ არის—დაამოწმა გულჩვილმა ტირიფმა.—რა ვუყოთ, რომ გაზაფხულზე კალთებს გაფხრეწთ, სამაგიეროდ ზაფხულის სიცხეს გინელებთ.

— მერე რა არის რომ სიცხეს გვინელებს?—გამოეკამათა ტირიფს თიხიანი ნაპირი.—ან რა საჭიროა სიცხის განელება ჩვენთვის.

— იმდენი როგორ არ გესმის, გამოყრუებულო,—უთხრა ტირიფმა,—რომ, მტკვარი რომ არ იყოს, სიცხისაგან მთლად დაიფხშვნები. ან იქნება არ იცი, როგორ გაჩნდა ეს მდინარე?.. ან საიდან გეცოდინება? მეც რომ გეკითხები! მაშინ შენ მიწის ქვეშ იქნებოდი ჩაფლული. მტკვარი რომ არ ყოფილიყო შენ ვინ დაგანახვებდა სინათლეს? შენ ხატად უნდა გაიხადო ჯერ მტკვარი და მერე ის ადამიანი რომელიც მტკვრის საბაბი გახდა. მუხავ, მგონი, შენც უნდა იცოდე! ჩემმა მშობლებმა მიამბეს, თავიანთ მშობლებისგან გაეგონათ; იმ მშობლებს კიდევ თავიანთ მშობლებისაგან ჰქონდათ გაგონილი... ჩვენი ქვეყანა,—დაიწყო ამბავი ტირიფმა—უდაბური და მასთან მწირი ადგილი ყოფილა: წყალი არ დენილა და ხეები არ ყოფილა. არაფერი და არავინ ღვთისაგან განაჩენი აქ ვერ ხეირობდა თურმე. აი ამისთანა ადგილს შემოჰკედლებია აუარებელ მტერთან ბრძოლით მოქანცული მზის შვილი, დედოფალი ივერია, თავისი ქალებითა და გმირების გუნდით. ნაბრძოლ გმირებს ძალიან სწყუროდათ თურმე. უვლიათ დიდხანს, უვლიათ და წყალი ვერსად უნახავთ. ვეღარ გაუძლიათ და დაცვივნულან. თავს შავი სიკვდილი წარმოსდგომიათ, უნდა დაგხოცოთო, უთქვამს. შეჰხვეწნია დედოფალი ივერია, ჯერ კიდევ გვაცალეო, სიკვდილს შესცოდებია და დაუცდია, იპოვეთ წყალი შენა და შენმა ქალებმაო, ხომ რა კარგი, თუ არა და თქვენც დაგხოცავთ და თქვენ გმირებსაცაო, გამოუცხოვნია ივერას კიდევ სიკვდილისათვის, სანამ უკანასკნელი ჩვენგანი არ დაბრუნდეს, ნუ დაგვხოცავო, და დაუგზავნია თავის ქალები ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხისაკენ და დაუბარებია ცალ-ცალკე მოდითო. ბოლოს თვითონ ივერაც წასულა და აჰყოლია ადგილებს, რომელზედაც მტკვარი ჩამოდის. უვლია, უვლია დედოფალსა და იმედდაკარგული იმ ადგილს დაცემულა, მტკვარი რომ გამოდის: ჯავრისაგან მწარედ ატირებულა, ისე ატირებულა, ისე ატირებულა რომ თვალებიდან სულ ცრემლის ღვარები წასქდომია, ეხლა კი ნამდვილათ დაგვხოცავს ის შეუბრალებელი სიკვდილიო. დედასეეფ ქალებიც ზოგი სად დაცემულა და ზოგი სად. ჯავრისაგან ისინიც ატირებულან. ბევრი ტირილის შემდეგ ყველანი დასვენებულან და ჩასძინებიათ. სიზმარში დედოფალს ივერიას უფალი უნახავს. ადეო, უბრძანებია ივერასთვის შენც გადარჩები შენი ქალებიც და შენი გმირებიცო. შენი და შენი ქალების ცრემლი მდინარედ იქცნენ და წყალი თავზე საყრელია ეხლაო: ივერა გაოცებულა, მლაშე წყალი როგორ მოგვიკლავს წყურვილსაო. მე დავატკბეო, უბრძანებია უფალს. გამოჰღვიძებია ივერას და მართლაც დაუნახავს, რომ იმის ცრემლი უშველებელ მდინარეთა ქცეულა. გაუსინჯია გემოთი წყალი და როცა სიამე უგრძვნია გახარებულს წამოუძახნია, რა მტკბარიაო და მდინარეს მტკბარი დარქმევია მაშინ. ეხლა კი მტკვარს ეძახიან... გამოჰყოლია ივერა თავის ცრემლების დენასა და გზაში ახალ-ახალი დიდი და პატარა მდინარე შეხვედრია და თავის ქალების ცრემლების ღვარებად უცვნია. მოსულან ივერაც და ქალებიც გმირებთან და მოუსალიერებიათ უფლისაგან წყლად ქცეული თავისი ცრემლებით. მას აქეთ არის თურმე რომ დიან მტკვარი, ლიახვი, ქსანი, არაგვი და სხვა ბევრი, ბევრი კიდევ სხვა მდინარე მას აქეთ არის რაც გაჩნდა ტყეები და ბალახეულობა. მას აქეთ არის, რაც აქ ცხოვრობენ ადამიანის შვილები: ყველანი დედოფლის ივერას ნაშენები არიან...

დაათავა ტირიფმა თავის მშობლებისგან გაგონილი ამბავი და მუხამაც დასტური დასცა, მეც გამიგიაო და ეს მდინარები რომ არ იყოს მართლა სული გაგვცივა ყველას, ქვასაც კიო. ამის გამგონე ნაპირებს ხმა აღარ ამოუღიათ. და მეც წამოვედი. ეხლა,—მიმართა შიოლამ ამხანაგებს,—ეს ამბავი იკმარეთ და და მერე სხვა იქნება. ზამთარი ჯერ კიდევ წინ გვიდევს და გომურიც ხომ აქ არის: პეტრე არ გაგვრეკავს.

— აი, იკურთხოს შენი მშობლები, იკურთხოს, შვილო!—უთხრა ნასიამოვნებმა გომურის პატრონმა.—აი, სწორედ შენ დედ-მამას შეუძლიან სთქვას, შვილი გვყავსო... არა, შვილო, შენ ადამიანის შვილი არა ხარ!—დასძინა პეტრემ ცოტა ხნის სიჩუმის უკან.—შენ ციდან ჩამოსული უნდა იყო, თორემ, აბა ტირიფისა და სხვების ლაპარაკს რას გაიგონებდი?

შიოლამ მხოლოდ სევდიანად გაღიმა პეტრეს სიტყვებზე და თავისი ბინა მონახა.

— მაგრამ ე ფერი რომ ვერ გადევს, ბიჭო, კარგი, ეგ ვერაფერი საქმეა!—მიაძევნა უკან პეტრემ სიტყვები.—დასანანი ხარ, შვილო, დასანანი, ვაი თუ ვერ გაუძლო ჩვენ ოხერ ცხოვრებასა!..

——

ზამთარი გავიდა და გაზაფხულმა მწვანე კალთები გაშალა. მზემ ყველა გაათბო. მხოლოდ შიოლა როგორღაც ვერა გრძნობდა სითბოს და სულ სციოდა. ამხანაგები უცქეროდნენ და გული ეკუმშებოდათ, რა სტკივა ჩვენ დარბაისელსა, რომ დნებაო, და პასუხს ვერ აძლევდენ თავის თავსა.

იმას კი აჩნევდნენ რომ შიოლა წიგნს დაინახავდა თუ არა სადმე ციებ-ცხელება ემართებოდა, წაავლებდა ხელსა და ერთი-ორი თვალის გადავლების შემდეგ ცივად ანებებდა თავსა, სახეზე უკმაყოფილება ეხატებოდა. ამხანაგები კიდევ ჰკვირობდნენ, ვინ დარბაისელი და წიგნის აგრე უგულოდ მოპყრობაო.

შიოლა აღარც სოფლის ხალაყბოზე მიდიოდა. წინათ იცოდა, ტოლებს შეხვდებოდა არ ერიდებოდა, რაიმე თავისებურ უცნაურ ამბავს უამბობდა, ეხლა კი გაურბოდა. მეტ წილ დროს ბაღში ხის ძირას და მინდორში მარტო სადმე ატარებდა.

მდინარეს მთელი საათობით დაჰყურებდა, სულგანაბული ყურს უგდებდა და ბოლოს ეუბნებოდა მე ვიცი რას მურმურებ, ვიცი რას ჩახჩახებ და რას გვრგვინავო.

მთებში მიდიოდა, მთის ამოძახილი გავიგონოო.

ნიავს, ქარს, ელოდა, რას იტყვიანო. ხე შრიალებდა, არა შორდებოდა. ბალახი ფურჩულებდა და, თვალს ზედა სთანგავდა.

არც სადილი, არც სამხარი და არც ვახშამიო, ჩიოდნენ მშობლები, ერთი ბეწოს შეჰკივნის და ეგ არიო.

— უეუოთ თვალი ვინმე სცა, ქა!—უთხრა ერთხელ მეზობელმა ქალმა შიოლას დედასა.—თვალისა შელოცვინე, ან ხატის მიზეზი იქნება, მკითხავს აკითხვინე და ალოცვინე.

— მერე და დაიყოლიე?—უპასუხა დედამ.—რამდენჯერ დავპირდე შელოცვაც და მკითხავებსაც წაუსულვარ, არ მომცა, შემეჯავრები, დედი, თუ შენ მაგას იზამო.

— რაიმე მაგის საკუთარ ნივთზე შეალოცინე, ადამიანო!—ურჩია მეზობელმა.—მკითხავთანაც ისე წადი, რომ ნუ გააგებინებ.

— არა, არა, გენაცვალე, მაგას ვერ ვიზამ!—გაასავსავა დედამ ხელები.—უთუოდ მიმიხვდება და შემიჯავრებს.

— როგორ, ქა? ნუ ეტყვი და საიდან გაიგებს?

— საიდანა და იქიდანა, რომ ბალახის ლაპარაკიც კი ესმის და ადამიანის განზრახვას როგორ არ მიხვდება. პირს ისე არ გავაღებ რაიმეს სათქმელადაც, ადამიანო, რომ შიოლამ არ მითხრას: ვიცი რაც უნდა სთქვაო, და მეუბნება კიდეც; თითქოს გულში ჩამიძვრაო, ისე სწორედ მეტყვის ხოლმე ჩემ ნააზრს.

— უი, გენაცვალეთ! უთუოდ ეშმაკეული იქნება!—გაიფიქრა მეზობელმა ქალმა და შიოლას დედას სწრაფად მოშორდა. ემანდ შიოლა აქ არსად განჩნდეს მოულოდნელადო.

——

სისხამ დილა იყო.

ღამის მეხრეებმა დღის მეხრეებს ჩაღარეს საქონელი, და შინისაკენ გამოსწიეს.

— კაცო! სად წავიდა ი დარბაისელი წუხელისა, რომ თავიანთ ხარ-დაკამეჩი ჩვენ მოგვაბარა და აღარ დაბრუნებულა?—იკითხა თავდიდმა.

— რაა? ძალა მოგივიდა მოვლით, თუ რა არის?—შეჰბუზღუნა ბუტუმ.—წავიდა და წავიდა, მერე რა არის? ცოტას გვასიამოვნებს ხოლმე? საწყალს გული არა აქვს, მაგრამ როცა კი ვთხოვთ მაინც გვიამბობს ხოლმე. ღმერთმანი! ღამეს ეგ მაძლევინებს მინდორში, თორემ რა დამაყენებდა? ჩემ ძმას, გიგლას, გამოგზავნიდი ღამის სარაში ეხლა წამოიზარდა და მამალი მგლისაც არ ეშინიან!

— ეე! ერთი შენცა და!—უთხრა თავდიდმა წყენით ბუტუს.—ეგ ხომ არ ვაყვედრი შიოლას, შენ ხარებს ვუვლი-მეთქი... მეშინიან, ემანდ არაფერი დაემართოს რა. ამ ბოლო დროს, ისე ჩამოხმა, რომ თვალებიდან სინათლე გასდის ხოლმე.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობს თავდიდი!—დაამოწმა გუგულამ.—ემანდ მართლა არაფერი დაემართოს რა. აბა, წამოდით ე მტკვარს ნაპირ-ნაპირ გავყვეთ! ემანდ ჭალაში თუა, ვერხვებთან. ხომ იცით იმათი შრიალი ძალიან უყვარს.

— აი, კაცო, ის ვინა გდია? აი, იმ კლდეზე, მტკვრის დიდ მორევს რომ დაჰყურებს!—წამოიძახა ჯღუნამ.

— ჰო, მართლა! ვიღაცა გდია—სთქვეს დანარჩენებმაც და ნაჩვენებ ადგილისაკენ გაეშურნენ.

კლდეზე შიოლას გვამი იპოვეს. გაციებულ სახეზე ისეთი სიამოვნების ღიმი შერჩენოდა, რომ ეტყობა ტკბილ ოცნებაში დაელია სული.

— ალბად მდინარის შხუილს უგდებდა ყურს—სთქვა სვენებ-სვენებით თავდიდმა.

— ღმერთო! რა ძალიან მიყვარდა! ძმაზე ძალიან მიყვარდა!—წამოიძახა გუგულამ და აქვითინდა.

— მეცა! მეცაო!—წამოიძახეს, თითქმის ერთხმად, ჯღუნამ და ბუტუმ და თვალებიდან მდუღარება გადმოაბნიეს.

ან—ბანი.

სახლების
ქონების, აგარაკების და წარმოებისა
ყიდვა გაყიდვა
დიდი კლიენტურა
დავითის ქუჩა № 3 ბ-ნა 2.
შოთარუსთაველის პროსპ. მახლობლად.
ინტელიგენტთა ჯგუფი
თბილისი

სამკურნალო
ელექტრონის რენტგენის და სინათლის,
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ. საღ 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ვერაზე. ტელ. 9—71. 3102. თვ.

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ. ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5-7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჭოლოშვილისა. № 3208.

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 საათ. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის, მოსკოვის ქუჩა № 4. ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 3268

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტროწამლობის კაბინეთში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების აპერაცია—პოევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე და საღ. 6—8 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 3314

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12=1 ნახ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65; 1. 7—49

ექიმი
ა. ს. ჯავრიშვილი
სიფილისი (606—914 შეშხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდო ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. ოლღას ქუჩა, № 3, მელიკ-აზარიანცის სახლი. 3

ექიმი
ე. ი. კალანდაძე.
ღებულობს შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს დღის 8—12 ს. ვენერიულ სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 914 და საშარდე ორგანოთა საღ. 5—7 ს გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 3228

თვალების ავადმყოფობის
ექიმი
მ. გოლშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფებ მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; ს
ღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 3

კბილის ექიმი
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
ხორავა
ჩამოვიდა მოსკოვიდან და იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილით 10—2 საათ. და საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქუჩის კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ აზარიანცის ბინა № 20 ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი
ა. ე. ლევანშტეინი.
იღებს რენტგენისა და ელექტრონით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ და აგრეთვე აწარმოებს რენტგენის სხივებით შინაგან ორგანოთა და ჭრილობათა გამოკვლევას. წამლობა დიდი ძალის ტოკით. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა 3. ტელ. 12-46.
მიღება 11-12 და 4-7 საათამდე.

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფების მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყ. ელექტრონით წამლობა.
ავადმყ. მიღება საღ. 5-7 ს, ანასტასია ქუჩა № 3 ტელეფ. 9—31.
№ 3207.

ყოფილი 1 კავკასიის კორპუსის სამხედრო ბეითალი-ექიმი
ი. გ. ქუთათელაძე
იღებს შინაგან, კანით (ქეცით) ავადმყოფ ოთხფეხ პირუტყვებს და ფრინველებს. ცხენის ქოთაოს (საპს) ვიკვლევ მალეინის შეშხაპუნებით. ჭიისცხვირის სასულე—მილას ავათმყოფობას ვექიმობ ,,ნეიმანის და ვესსელის" მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას ,,ზოოტექნიაზე" (საქონლის მოვლა-მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2